სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

(2024 წელი)

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დასახელება: **ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი**
სამეცნიერო კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელი: **ისტ. დოქტორი როინ მალაყმაძე**
სამეცნიერო კვლევითი ერთეულის განყოფილებები:

- **ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება**
- **ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება**
- **ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება**

სამეცნიერო კვლევითი ერთეულის სამეცნიერო შემადგენლობა (სტრუქტურებისა და თანამდებობების მიხედვით):

- **ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება:**
  **თამილა ლომთათიძე** (განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **ნოდარ კახიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი)
  **ჯემალ ვარშალომიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **ნაილა ჩელებაძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **რუსლან ბარამიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **ნუგზარ ჩხაიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოსოფიის დოქტორი)
  **ჯემალ მიქელაძე** (მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი)
  **ანა ბაგრატიონი** (მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მაგისტრი)

- **ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება:**
  **ოლეგ ჯიბაშვილი** (განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი),
  **ოთარ თურმანიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) **ნინო ინაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **უჩა ოქროპირიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **გიორგი თავამაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **მაია ჭიჭილეიშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი)
  **ირინე ვარშალომიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **ტარიელ ებრალიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **მერაბ მეგრელიშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)
  **სულხან მამულაძე** (მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი)

- **ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება:**
  **ელზა ფუტკარაძე** (განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი)
  **ნარგიზ ახვლედიანი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი)

**ნაილე მიქელაძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი)
**ფატი აბაშიძე** (მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი)
**ნანული ნოღაიდელი** (მეცნიერი თანამშრომელი)
**ციალა ნარაკიძე** (მეცნიერი თანამშრომელი)
**ბერიძე ცისნამი** (მეცნიერი თანამშრომელი)
**ებრალიძე კაკალა** (მეცნიერი თანამშრომელი)

I. სახელმწიფო პროგრამით (ბიუჯეტით) დაფინანსებული თემა/თემები (საანგარიშო წლისთვის):
*ეს პუნქტი ეხება იმ სამეცნიერო ერთეულებს, რომლებიც კვლევას აწარმოებენ ოფიციალურად დამტკიცებული სამუშაო გეგმით (პროგრამული დაფინანსებით) ანუ* სსიპ სამეცნიერო-კვლევით და უნივერსიტეტებთან და სხვა სტრუქტურებთან არსებულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს

- **ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება**

| № | თემის დასახელება | ვადები | კონკრეტული ეტაპი | შემსრულებლები (მათი როლებით) |
|---|---|---|---|---|
| | „წაშლილი, დავიწყებული და ტრანსფორმირებული მეხსიერება (მეხსიერების კვლევა ბიოგრაფიული ინ-ტერვიუების (ზეპირი ის-ტორიების) საფუძველზე“ | 2024-2027 | | |
| | 1. ეთნოკულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება ბათუმში - წარსული და თანამედროვეობა | | 1.1.წყაროთმცოდნეობითი ბაზის მომზადება<br>1.2.მეთოდოლოგიის შემუშავება<br>1.3.კითხვარის მომზა-დება და აპრობაცია1.4. კვლევის სამიზნე ჯგუფების შერჩევა<br>1.5. საფონდო მასალის დამუშავება | თ.ლომთათიძე (პროექტის ხელმძღვანელი)<br>შემსრულებლები:<br>ნ.კახიძე<br>ჯ.ვარშალომიძ<br>ეჯ.მიქელაძე<br>რ.მალაყმაძე<br>რ.ბარამიძე<br>ნ.ჩელებაძე |
| | 2.აჭარიდან მიგრირებული მოსახლეობის ისტო-რიულ-კულტურული მეხ-სიერება | | 1.1.წყაროთმცოდნეობითი ბაზის მომზადება<br>1.2.მეთოდოლოგიის შემუშავება<br>1.3.კითხვარის მომზადება<br>1.4.საფონდო მასალის დამუშავება | ა.ბაგრატიონი - შემსრულებელი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 3. ქ.ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით) | | ქ. ბათუმის მოსახლეობის დამოკიდებულება სათამაშო ბიზნესისადმი (სოციოლოგიური გამოკითხვის ანალიზი) | ნ.ჩხაიძე-შესრულებელი |

*ანოტაცია*

თემა ითვალისწინებს მეხსიერების ანთროპოლოგიურ კვლევას. კვლევების სიახლეა ადამიანების და ჯგუფების მეხსიერებაში შემონახული მილევადი ან ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ინფორმაციის დაფიქსირება ზეპირი ნარატივების მეშვეობით და იმ ისტორიულ-კულტურული პროცესების შესახებ მათი ცოდნის შესწავლა, რომელთა თვითმხილველები და მონაწილენი არიან რესპოდენტები. დაფიქსირებული და შესწავლილი იქნება როგორც ინდივიდუალური, ისე საოჯახო და მცირე ჯგუფების მეხსიერება, რომელიც სხვადასხვა საკითხებს ეხება, მუდმივად განიცდის გარე ზემოქმედებას, ყოველდღიური საინფორმაციო ნაკადების, მეხსიერების პოლიტიკების და სხვადასხვა ცვლილებების გავლენით. ასევე, იგი მილევადია მეხსიერების ბიოლოგიური სპეციფიკის გამო, რადგან ადამიანები დროთა განმავლობაში ივიწყებენ ან განსხვავებულად იხსენებენ სხვადასხვა დეტალებს. ამიტომ, ჩვენი ინტერესი ეხება მილევად და ტრაფნსფორმაციას დაქვემდებარებული ცნობები, რომელთა გამოვლენა და დაფიქსირება ჯერ კიდევ შესაძლებელია. პროექტის შემსრულებლები ბიოგრაფიული ინტერვიუებზე დაყრდნობით მოიპოვებენ, ხოლო შემდგომ ისეთი მიდგომების გამოყენებით, როგორიცაა ზეპირი ისტორიები, დისკურს-ანალიზი, შედარება და სხვ., გაანალიზებენ მოპოვებულ მასალებს.

აღნიშნული კვლევა წარიმართება სამი მიმართულებით:

1. **ეთნოკულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება ბათუმში - წარსული და თანამედროვეობა;** კვლევა ხორციელდება ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან კომუნიკაციით. შესწავლილი იქნება, რა მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა ეთნიკური თუ კონფესიური ჯგუფის წარმომადგენლები ისტორიულ წარსულს, როგორ აღიქვამენ მოვლენებს. ეს იქნება არა დამკვირვებლის თვალით დანახული, არამედ მოვლენის უშუალო მონაწილეთა მიერ განცდილი და მათ მეხსიერებაში დალექილი მოვლენების აღწერა და შეფასება. კვლევის შედეგად შესაძლებელი იქნება როგორც საბჭოთა პერიოდის სპეციფიკის გამოვლენა, ისე დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან დღემდე განვითარებული პროცესების რეკონსტრუცია. 2024 წელს მომზადდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა საკითხის გარშემო, შემუშავდა მეთოდოლოგია, მომზადდა კითხვარი, შეირჩა სამიზნე ჯგუფები და განხორციელდა მისი აპრობაცია, დაიწყო ინსტიტუტის საფონდო მასალის დამუშავება

2. **აჭარიდან მიგრირებული მოსახლეობის ისტორიულ-კულტურული მეხსიერება**

ამ მიმართულებით შესწავლილი იქნება სხვადასხვა პერიოდის ადგილმონაცვლე პირთა მეხსიერებაში შემონახული მიგრაციის პროცესები და მიგრანტთა კულტურულ-რელიგიური ადაპტაციისა და ინტეგრაციის პრობლემები. მეხსიერება შესწავლილი იქნება ისტორიულ ჭრილში, რათა განხორციელდეს მასში შემონახული ნარატივების არა მხოლოდ ფიქსაცია, არამედ მათი მეშვეობით ისტორიული პროცესების რეალურად და თანმიმდევრულად გადმოცემა.

2024 წელს დაიწყო საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის დამუშავება, ჩამოყალიბდა კვლევის გეგმა, გამოიკვეთა საკვლევი თემატიკა, შემუშავდა კითხვარი საველე სამუშაოებისთვის, დაიწყო ინსტიტუტის ფონდებში არსებული ჩანაწერების დამუშავება.

3. ქ. ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)

სოციოლოგიური კვლევის უმთავრესი სიახლე იქნება ის, რომ დიფერენცირებულად იქნება შესწავლილი ქ.ბათუმის მოსახლეობის ცალკეული სოციალური სეგმენტები, რაც საშუალებას მოგვცემს ქ.ბათუმის ცალკეული სოციალური ჯგუფების წინაშე მდგარი ცხოვრებისეული პრობლემები სიღრმისეულად იქნას შესწავლილი და დაისახოს მათი გადაჭრის გზები.

2024 წელს შესწავლილი იქნა ქ. ბათუმის მოსახლეობის დამოკიდებულება სათამაშო ბიზნესისადმი. ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის ანალიზზე დაყრდნობით შეიქმნა სამეცნიერო ნაშრომი აღნიშნულ საკითხზე.

- ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება:

სამეცნიერო -კვლევითი პროექტი: „აჭარის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“

ხანგრძლივობა: 2024-2028 წწ.

| № | თემის დასახელება | ვადები | კონკრეტული ეტაპი | შემსრულებლები (მათი როლებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბათუმი და ნავთობსამრეწველო ბუმი აფშერონის ნახევარკუნძულზე (XIX ს-ის 80-90-იანი წწ. – XX ს-ის დასაწყისი) | 2024-2028 | როგორ იქცა ბათუმი ნავთობპროდუქტების საექსპორტო ცენტრად (XIX ს-ის 80-იანი წწ.)<br><br>(I ეტაპი) | ოლეგ ჯიბაშვილი |
| 2 | ბათუმის არქიტექტურა (XIX-XX სს.) | 2024-2028 | XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის ურბანული განვითარება (საარქივო და საისტორიო წყაროების მიხედვით) | მაია ჭიჭილეიშვილი |
| 3 | სახელმწიფო ორგანოები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აჭარაში (1921-1940 წწ.). | 2024-2028 | აჭარის გასაბჭოება და ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა | ოთარ თურმანიძე |
| 4 | სამიმოსვლო გზები და ტექნიკური ნაგებობანი აჭარაში (XX ს.-XXI ს-ის დასაწყისი) | 2024-2028 | სამიმოსვლო გზები და ტექნიკური ნაგებობანი აჭარაში XX ს-ის 30-იან წლებში | მერაბ მეგრელიშვილი |

*ანოტაცია*

--------------------

1. ჯიბაშვილი ოლეგ

2024 წელს დასრულდა საკვლევი თემის – „როგორ იქცა ბათუმი ნავთობპროდუქტების საექსპორტო ცენტრად (XIX ს-ის 80-იანი წწ.)“ – შესწავლის პირველი ეტაპი (გეგმით, კვლევა

გადანაწილებულია 2024-2025 წლებზე). აღნიშნული საკვლევი თემა წარმოადგენს ქვეპროექტის – „ბათუმი და ნავთობსამრეწველო ბუმი აფშერონის ნახევარკუნძულზე (XIX ს-ის 80-90-იანი წწ. – XX ს-ის დასაწყისი)" – შემადგენელ ნაწილს. სამეცნიერო ლიტერატურისა და საისტორიო წყაროების მონაცემების შეჯერების შედეგად, კვლევის ამ ეტაპზე ირკვევა შემდეგი:

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად ბათუმი, ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილთან ერთად, ოსმალეთის მფლობელობიდან რუსეთის იმპერიის ხელში გადავიდა. როგორც ირკვევა, ეს არ ყოფილა მარტოოდენ რუსეთის წარმატებული სამხედრო ღონისძიებების შედეგი. ბერლინის კონგრესზე ოსმალეთის ზურგს უკან მდგომი ინგლისის მოულოდნელი თანხმობა პორტო-ფრანკოს სტატუსით ბათუმის რუსეთისათვის გადაცემასთან დაკავშირებით, რუსეთის ძალისხმევასთან ერთად, განაპირობა დიპლომატიურ ჭიდილში როტშილდების მძლავრი კლანის წარმომადგენლის – როტშილდთა პარიზის საბანკო სახლის კულუარულმა ჩარევამ.

XIX საუკუნეში როტშილდები უდიდეს გავლენას ახდენდნენ ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკასა და ფინანსებზე, სასულიერო და საერო ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენლებზე. ასეთი მძლავრი ფინანსური კლანის თვალთახედვის არეალში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბაქოს ნავთობი მოექცა. მაგრამ საკმარისი არ იყო მხოლოდ ბაქოს ნავთობსარეწების ხელში ჩაგდება. ნავთობის ექსპორტზე გასატანად როტშილდებს იაფი და მოხერხებული გზა სჭირდებოდათ. ბათუმის პორტი თავისი მახასიათებლებით აბსოლუტურად აკმაყოფილებდა ასეთ მოთხოვნებს, მაგრამ იგი ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში იყო მოქცეული. სამრეწველო ინტერესები ითხოვდა, რომ ბათუმი რუსეთის ხელში გადასულიყო. ამით ბაქო-ბათუმი, მათ შორის არსებული სივრცით, ერთი ქვეყნის – ამ შემთხვევაში, რუსეთის კუთვნილება გახდებოდა და ბაქოდან ბათუმის გავლით ევროპაში ნავთობის ექსპორტი დაბრკოლებებისა და ზედმეტი დანახარჯების გარეშე განხორციელდებოდა. ამდენად, როტშილდების კომერციულმა ინტერესებმა ბათუმის საკითხი რუსეთის სასარგებლოდ გადაჭრა.

ოსმალეთისაგან ახალგანთავისუფლებულ ბათუმში საქალაქო ცხოვრების დონე საკმაოდ დაბალი იყო, თუმცა მას გამოცოცხლება მალევე დაეტყო, რაშიც დიდი იყო მისი უდიდებულესობა ნავთობის დამსახურება. XIX საუკუნის II ნახევრიდან ნავთობის მოპოვება-გადამუშავებამ მსოფლიო ეკონომიკაში თანდათან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, ამ ძვირფასი ნედლეულის უდიდესი მარაგი კი ბაქოს მიდამოებში იყო ფიქსირებული. ეს სიმდიდრე ექსპორტზე გატანას საჭიროებდა, ამისათვის კი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ბათუმის ნავსადგური აღმოჩნდა. ამდენად, ბათუმის ნავსადგურისა და ბაქოს ნავთობის ბედი თავიდანვე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. რუსულმა ხიშტმა და როტშილდების ფულმა ბათუმი ოსმალეთს გამოსტაცა და რუსეთის იმპერიას არგუნა, რითაც ბაქო-ბათუმის სატრანზიტო დერეფნის შეუფერხებელი ფუნქციონირება გახდა შესაძლებელი. ბაქოს ნავთობის მოპოვება-ექსპორტირების მძლავრი ბუმის შედეგად კი, რაც უმთავრესად ბათუმის ნავსადგურის გავლით ხორციელდებოდა, ოდესღაც მეთევზეებისა და კონტრაბანდისტების უბადრუკი დასახლება მზარდ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად გადაიქცა.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრებიდან მალე, სამხედრო-სტრატეგიულმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა დღის წესრიგში დააყენა სარკინიგზო ხაზით ბაქო-ბათუმის ერთმანეთთან დაკავშირების საკითხი. ეს, ერთი მხრივ, საჭირო იყო ახალშემოერთებულ მიწებზე მტკიცე კონტროლის დაწესების, ხოლო, მეორე მხრივ, ნავთობის მზარდი ექსპორტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. 1883 წლის 21 მაისს სამტრედია-ბათუმის სარკინიგზო ხაზი ოფიციალურად შევიდა ექსპლუატაციაში. იმავე წელს ამოქმედდა ბაქო-თბილისის მონაკვეთიც. ბათუმი რკინიგზით დაუკავშირდა ბაქოს. საინტერესოა, რომ ამ პროექტთან დაკავშირებით აშკარად გამოიკვეთა როტშილდების ინტერესები. სწორედ მათი ფინანსებით გახდა შესაძლებელი პროექტის დასრულება.

სარკინიგზო კავშირის შედეგად, ნავთობის ტრანსპორტირება ვაგონ-ცისტერნებით დაიწყო, შესაბამისად, მისი ექსპორტი გაიაფდა. ამან ბიძგი მისცა ერთი მხრივ ბათუმის ზრდა-განვითარებას, მეორე მხრივ კი ბაქოს ნავთობის მოპოვების მასშტაბების გადიდებას. ამასთან, გაიზარდა ბაქოს ნავთობის მოპოვება-ექსპორტში უცხოური კაპიტალის წილი და ნავთობპროდუქტების საექსპორტო მოცულობა. ბათუმი აღმოჩნდა ნავთობმაგნატებს (როტშილდები, როკფელერები, ნობელები და სხვ.) შორის მსოფლიო ბაზრებისათვის გაჩაღებული ბრძოლის ეპიცენტრში.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული საინტერესო მომენტები უფრო ვრცლად აისახა 2024 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „მარკუს სამუელ-უმცროსის გაბედული ბიზნეს-გეგმა – ბათუმიდან სუეცის გავლით შორეული აღმოსავლეთისაკენ“ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე გამოტანილ მოხსენებაში „ბაქო-ბათუმის ნავთობ-საექსპორტო დერეფნის გამტარუნარიანობა და ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზის ამოქმედება“, აგრეთვე, საკვლევ თემეტიკასტან დაკავშრებით ჩატარებულ სემინარში „ბაქოს ნავთობის გავლენა ბათუმის სამრეწველო განვითარებაზე (XIX საუკუნის 80-იანი წლები)“. ყველა ეს აქტივობა დაგეგმილი იყო მიმდინარე წლის სამუშაო გეგმით.

2. ჭიჭილეიშვილი მაია

ხუთწლიანი სამეცნიერო პროექტის ფარგლებში, მიმდინარე ეტაპზე შევისწავლეთ „XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის ურბანული განვითარება (საარქივო და საისტორიო წყაროების მიხედვით)“. საარქივო და საისტორიო წყაროების შეჯერების შედეგად გამოიკვეთა ბათუმის ურბანული განვითარების ზოგადი სურათი, განაშენიანების სპეციფიკა, გეგმარებითი სტრუქტურა, მულტიკულტურული რელიგიური ნაგებობების მშენებლობების საკითხები. თემის ირგვლივ შესწავლილ იქნა აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული საარქივო დოკუმენტების ნაწილი (ფონდი ი-6 მასალები), ასევე საისტორიო წყაროები (ე. ვიდენბაუმის, ა. ფრენკელის, დ. ბაქარძის, ნ. ნიკოლაძის, ზ. ჭიჭინაძის, რ. უზუნაძის, ვ. ლექვინაძის, ზ. დიასამიძის, მ. ლილუაშვილის და სხვ. კვლევები).

ბათუმის განვითარება დაეფუძნა რეგულარული განაშენიანების პრინციპს. საქალაქო სივრცის დომინანტურ აქცენტებს წარმოადგენდა მულტიკულტურული საკულტო შენობები, რომელთა დათარიღებისა და აქ მოღვაწე ინჟინერ-არქიტექტორთა საკითხების კვლევა საარქივო-საისტორიო წყაროების, საარქივო და პუბლიცისტური მასალების ღრმა ანალიზს მოითხოვს. XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის არქიტექტურაში ვლინდება საქართველოს თანადროული ხანის ქალაქების სტილისტური ნიშნები და მხოლოდ ბათუმისათვის დამახასიათებელი თავისებურებებიც.

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ბათუმის შესახებ ისტორიული წყაროები მწირია. მოგზაურთა ცნობებით, ამ დროისათვის, იგი ვრცელ სოფელს უფრო ჰგავს ვიდრე პატარა ქალაქს. თურქული წყაროების მიხედვით XIX საუკუნის შუა წლებში, ოსმალეთის ხელისუფლების მიერ, დაიგეგმა ქალაქის ახალი უბანი „აზიზიე“, აიგო საკულტო ნაგებობები აბდულ აზიზის მეჩეთი და წმინდა ნიკოლოზის ბერძნული ეკლესია, მოგვიანებით კი სიმაგრეები სარი-სუ და ბურუნ-თაბიე. XIX საუკუნის 70-იანი წლების ბათუმის ურბანული განვითარების შესახებ წარმოდგენას გვიქმნის დიმიტრი ბაქრაძის, ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ფრენკელის, ევგენი ვეიდენბაუმის და სხვათა ჩანაწერები. ურბანული წინსვლის მიუხედავად, 1860-1870-იან წლებში ბათუმი პატარა, პროვინციულ ოსმალურ ქალაქად რჩება. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, რუსეთის იმპერიის მიერ ბათუმის მიერთებისა და მზარდი ეკონომიკური პროცესების შედეგად, ქალაქის ურბანული სახე მნიშვნელოვნად შეიცვალა. შემუშავდა სამშენებლო საქმიანობის წესები. რეგულარული განაშენიანების პრინციპით გაშენდა ახალი უბნები, აიგო მულტიკულტურული რელიგიური შენობები, პარკი, ბულვარი, ახალი ტიპის საცხოვრებელი სახლები, სასწავლებლები, საზოგადოებრივი, სამრეწველო და სამეურნეო ტიპის შენობები.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის არქიტექტურაში თავს იჩენს მზარდი კაპიტალისტური ქალაქებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაკეთდა მოხსენება „ბათუმის ურბანული განვითარების ზოგიერთი ასპექტი“, რომელიც გამოტანილი იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე – III“, აგრეთვე, ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე „ბათუმის ურბანული განვითარება საისტორიო წყაროების მიხედვით (XIX-XX საუკუნეების მიჯნა)“.

3. თურმანიძე ოთარ

ხუთწლიანი სამეცნიერო პროექტის ფარგლებში, მიმდინარე ეტაპზე შევისწავლეთ „აჭარის გასაბჭოება და ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა“. კვლევის შედეგები მოკლედ შეიძლება ასე შევაჯამოთ:

საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ოკუპაცია მოახდინა. ქვეყანაში შეიქმნა ახალი ტიპის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემები. განხორციელდა ეკონომიკური, სოციალური და სხვა სახის რეფორმები. ანალოგიური ცვლილებები განხორციელდა აჭარაშიც.

ცვლილებები შეეხო მოსახლეობის შემადგენლობას. გასაბჭოებისას აჭარის მოსახლეობა შედგებოდა მემამულეების, ბურჟუაზიის, გლეხების, სასულიერო პირებისა და ინტელიგენციისაგან. საბჭოთა ხელისუფლებამ მიზანმიმართულად მოახდინა მემამულეების, ბურჟუაზიის, სასულიერო ფენების ძალდატანებითი ლიკვიდაცია. ავტონომიურ რესპუბლიკაში შეიქმნა მოსახლეობის ერთგვაროვანი სოციალური სტრუქტურა, რომელიც საბჭოთა რუსეთის ანალოგიური იყო. ამ ცვლილებების შედეგად აჭარის მოსახლეობა შედგებოდა მუშების, გლეხებისა და ამ კლასისაგან გამოსული ინტელიგენციისაგან.

მართალია, 1921-1940 წლები, როგორც საერთოდ საბჭოთა ხანა, ძნელბედობით გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც მშვიდობიანი იყო. ასეთ პირობებში მოსახლეობა რაოდენობრივად გაიზარდა, მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის კულტურული და საყოფაცხოვრებო დონე. ინდუსტრიალიზაციისა და საბჭოთა (სახელმწიფო) მეურნეობების მშენებლობის შედეგად გაჩნდა ახალი სამუშაო ადგილები, ძირითადად მოისპო უმუშევრობა. ეს პროცესი დადებითი, ამასთან მძიმე იყო. ცვლილებებს უარყოფითი მხარეც ჰქონდა. საბჭოთა ხელისუფლებამ გამიზნულად დაიწყო არაქართველების ჩამოსახლება, ძირითადად ქალაქ ბათუმში დ აჭარის ზღვისპირეთში. ამის შედეგად საგრძნობლად შეიცვალა აჭარის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. მაგალითად, XX საუკუნის 30-იან წლებში ქალაქ ბათუმში არაქართველებიდან პირველი ადგილი ეკავათ რუსებს, მეორე – სომხებს, მესამე – ბერძნებს.

მოსახლეობისათვის უმძიმესი იყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და მასობრივი რეპრესიები. კოლექტივიზაციის შედეგად სოფლის მოსახლეობა ღარიბდებოდა. იგი გლეხობის შენიღბულ მონობას განასახიერებდა. უმძიმესი იყო მასობრივი რეპრესიები, განსაკუთრებით 1937-1938 წლებისა, რის შედეგად მრავალი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა.

კვლევის შედეგები შევიდა მიმდინარე წელს ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემული მონოგრაფიის – „აჭარა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე“, ჩვენს მიერ მომზადებულ თავში – „აჭარა საბჭოთა პერიოდში (1921 წლიდან XX საუკუნის 90-იან წლებამდე)“; მათ საფუძველზე მომზადდა, აგრეთვე, სამეცნიერო სემინარი თემაზე „აჭარის მოსახლეობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბება აჭარაში 1921-1940 წლებში“.

4. მეგრელიშვილი მერაბ

მიმდინარე წელს დავიწყეთ მუშაობა ქვეპროექტზე „სამიმოსვლო გზები და ტექნიკური ნაგებობანი აჭარაში (XX ს.-XXI ს-ის დასაწყისი)“. პირველ ეტაპზე შევისწავლეთ XX ს-ის 30-იან წლებში არსებული ვითარება. კვლევის შედეგები ასეთია:

1929 წლის 11 სექტემბერს შეიქმნა აჭარის გზატკეცილის, გრუნტის გზის და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო. 1938 წლის 11 აგვისტოს საგზაო სამმართველო გადავიდა აჭარის ასსრ. სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო 1946 წლის 15 მარტიდან აჭარის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში. 1939 წელს გზები დაჰყვეს ორ ნაწილად: სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის და შეიქმნა ბათუმის გზის საექსპლუატაციო უბანი N730. აჭარის გზები შედიოდა კავკასიის ოლქის გზათა მიმოსვლის უწყებაში. აჭარაში არსებულ გზებს გააჩნდა სტრატეგიული მნიშვნელობა. გზებზე უზრუნველყოფილი იყო ჯავშნიანი მანქანების მიმოსვლა. 1932 წლის 3 აგვისტოს ამიერკავკასიის გზის ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა რეკიმ, საქართველოს გზათა სამმართველოს წარმომადგენლებმა სიმონსოვმა და პეტროვმა და აჭარის გზათა სამმართველოს ინჟინერმა დ. გაბუნიამ და კეკედჯანმა დაათვალიერეს ბათუმი-გოდერძის გზა. 62 კილომეტრიან გზის მონაკვეთში, მთებს შორის არსებული დაკლაკნილი გზის მშენებლობა დიდ სიფრთხილესთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით თოვლის დნობის, წვიმების და წყლის დონის ამაღლების დროს. კლდიდან ქვების ცვენის შედეგად გზა გრუნტით იფარებოდა და ტრანსპორტით მოძრაობა შეუძლებელი იყო. აუცილებელი იყო კლდის დამცავი ზღუდეების აგება, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ასე მაგალითად, 5 მეტრის სიმაღლის და 247 მეტრის სიგრძის კედლის გამაგრებაზე იხარჯებოდა 296. 400 მანეთი. 313 მეტრზე გზის გაფართოების ხარჯი აღწევდა 30000 მანეთს, ხოლო დამატებით გზის სხვადასხვა სამუშაოების ჩათვლით დანახარჯი შეადგენდა 258. 265 მანეთს

ამავე პერიოდში აჭარცაკის პრეზიდიუმმა გზების დაზიანებისგან თავდაცვის მიზნით მიიღო სპეციალური დადგენილება 1. საკავშირო მნიშვნელობის პირველი კლასის გზად აღიარეს ბათუმი-გოდერძის უღელტეხილი, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზად დაამტკიცეს სხალთა და სარფი, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზად (მე-6 კლასი) ახალშენის, ორთაბათუმის, ბობოყვათის და ჭახათის გზები, ასევე განსაზღვრეს ზემოთ აღნიშნული გზების სიგანის ნორმები. აიკრძალა გზის სარტყელში ნაგებობების მშენებლობა, ტყის გაჩეხვა და ა.შ. ამიერკავკასიის სამხედრო უწყება აწარმოებდა შუბანის (იორამი) სამხედრო გზის მშენებლობას. აღნიშნული გზის მშენებლობაში გაწეული დიდი შრომისთვის შუბანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. ბერიძემ გზის მშენებელი მ. მახარაძე იარაღით დააჯილდოვა

აჭარის გზის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეებას იღებდნენ გურიის შრომითი ბრიგადები. გურიის სოფელ შემოქმედის მკვიდრი თეოფილე ოქროპირიძე ერქომაიშვილი ბათუმი-გოდერძის გზის და ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობის საქმეში გაწეული დიდი ღვაწლისთვის წარადგინეს შრომის გმირის წოდებაზე და დაუნიშნეს პერსონალური პენსია 120 მანეთის ოდენობით.

ბათუმი-გოდერძის უღელტეხილზე გაფართოვდა გზა. ბათუმის-ლიმანის გზაზე გაშენდა ახალი მაგისტრალი და მასზე უზრუნველყოფილი იქნა ჯავშნიანი მანქანებისს მიმოსვლა. ბათუმი-ახალციხის და ბათუმ-ქობულეთის გზის საშიშ და მოსახვევ ადგილებში გაკეთდა ქვის და ტინობის მოაჯირები, ხოლო თხრილებში წყლის საწრეტების ნაცვლად აიგო რკინა-ბეტონის წყალსადენი. XX -საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში გაშენდა და მოწესრიგდა შემდეგი გზები: ხიჭაური, ჭვანა-ცხემლისის გზა - 8 ვერსზე, რომელიც ემსახურებოდა 20 სოფელს -686 სულს. ასევე შუახევი- უჩამბის გზა 7 ½ ვერსზე, რომელც იწყებოდა მშენებარე შუახევის ხიდთან. გაშენდა ბათუმი-ახალციხის გზატკეცილი 65 ვერსზე. სხალთის გზა იწყებოდა ბათუმი-ახალციხის გზატკეცილის 75 -ე ვერსზე, იგი გადაკვეთდა მდინარე აჭარისწყალის ხიდს და მიდიოდა მდინარე სხალთისწყლის მარჯვენა სანაპიროსკენ, რომელიც ემსახურებოდა 238 სულს. ღორჯომის-გზა 8 ვერსზე იწყებოდა ხულოდან და მიდიოდა მდინარე ღორჯომის მარჯვენა სანაპიროდან უღელტეხილამდე. იგი

ემსახურებოდა 19 სოფელს -1002 სულს. მარადიდის გზატკეცილი აერთიანებდა მაჭახლისპირა სოფლებს. ამავე პერიოდში გაშენდა გზა მდინარე მაჭახელზე, სოფელ ჩიქუნეთთან 11 ვერსზე, იგი იწყებოდა მარადიდის გზატკეცილზე და ემსახურებოდა 385 სულს. 8 ვერსზე გაშენებული ქედა-მერისის გზა იწყებოდა მშენებარე ხიდდთან და მიემართებოდა მდინარე მერისის მარჯვენა სანაპიროსკენ. იგი ემსახურებოდა 8 სოფელს - 280 სულს. სამხედრო ინჟინერ დიმიტრი სვისშჩევსკის წინადადებით დაიწყო მწვანე კონცხამდე მისასვლელი ტრამვაის ხაზის გასაყვანად მიწის სამუშოები. 1939 წელს აჭარის საგზაო სამმართველოს (უფროსი შანიძე) ურთიერთობა ჰქონდა კიევის საგზაო სამმართველოსთან (უფროსი ერემენკო). 1939 წელს საგზაო მშენებლობაში გამოვლინებულ სტახანოველებს გადასცემდენ ფულად ჯოლდოს 100 მანეთის ოდენობით. 1941 წლის 21 სექტემბერს აჭარის საგზაო სამმართველომ განაახლა სოფელ ახალშენის გზაზე მდებარე სამხედრო მნიშვნელობის მდინარე ბარცხანის ხიდის მშენებლობა. ასევე განახლდა მერისის გზის მშენებლობა. მოეწყო გადასასვლელი გზები მდინარე მერიახევსა და აკავრეთზე, სოფელ ჩელტამდე. 1940 წელს აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ ხულოში ხიდების და გზების მსენებლობაზე გამოჰყო 156 995 მანეთი, ქედაში 43 398 მანეთი, ბათუმის რაიონში - 145 791 მანეთი, ქობულეთის რაიონში 174 966. 1940 წელს განახლდა გონიოს გზის მშენებლობა. ადგილობრივი გზათა სამმართველოს უფროსის ხელფასი განისაზღვრა 1000 მანეთის ოდენობით. 1939-1940 წლებში აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ გზათა სამმართველოს უფროსად ისმაილ მოწყობილის ნაცვლად დანიშნა ოსმან შანიძე. 1939 წელს აჭარის ასსრ სახკომსაბჭომ დაამტკიცა რეგიონის გზათა მშენებლობის გეგმა, კერძოდ, ყარა-დერეს გზა (1,2 კმ) – ხულოს რაიონში, მერისის გზა (1,2 კმ), აჭარის აღმართის გზა (2 კმ) – ბათუმის რაიონში, კოხი-ჭახათის გზა (1 კმ) ქობულეთის რაიონში. ქობულეთი-კოხი-ჭახათის გზა იწყებოდა 4 ½ ვერსზე სოფელ კოხიდან, იგი ემსახურებოდა 8 სოფელს – 308 სულს. ჩაქვი-ჩაქვისთავის გზა – 17 ვერსზე იწყებოდა ჩაქვის საუფლისწულო მამულთან და მთავრდებოდა ჩაქვისთავის მეჩეთთან.

XX საუკუნის 30-იან წლებში აჭარაში განვითარდა რკინა-ბეტონის ხიდების მშენებლობა. მდინარე აჭარის წყალზე სოფელ ქედასთან აიგო 48 საჟენის სიგრძით რკინა ბეტონის ხიდი. იგი შედგებოდა სამი რკინა-ტინობის თაღიანი მანძებისგან, ორი სანაპირო და ორი შუაბიჯა ქვის დასაყრდნობებზე. მარჯვენა ნაპირის ბურჯი აგებული იყო ღია ქვაბულში, მარცხენა ნაპირის კი კლდეზედ. ორი შუაბიჯა ბურჯი აგებულია ჩასადგმელი ჯებით. ნაპირების ორივე მხრით გაშენებული იყო ქვის ჯებირები და დასაყრდნობი კედლები. აჭარისწყალზე სოფელ შუახევთან აიგო 24 საჟენი რკინა-ტინობის ხიდი. მარჯვენა ნაპირის ბურჯი აგებულია ჩასადგმელი ჭით, მარცხენა კი კლდეზე ბურჯი ჩადგმულია ჩასადგმელი ჭით რკინა-ტინობისგან. ორივე ბურჯს აქვს ჭავლმიმმართი ჯებირები და კედლები. მდინარე კინტრიშზე სოფელ ხუცუბანთან გაშენდა ქვის ხიდი. იგი შედგებოდა 2 მანძისგან, ერთი ქვისა და მეორე კი ტინობის თაღებისგან.

კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადდა და გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია „აჭარის გზები და ხიდები XX საუკუნის 30-იან წლებში“ (ჟურნ. „ინტელექტი“), აგრეთვე, ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე „საკომუნიკაციო გზები და ხელოვნური ნაგებობები აჭარაში XX საუკუნის 20-30-იან წლებში“.

სამეცნიერო -კვლევითი პროექტი: **„სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“**

ხანგრძლივობა: **2024-2028 წწ.**

| № | თემის დასახელება | ვადები | კონკრეტული ეტაპი | შემსრულებლები (მათი როლებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | დაკრძალვის წესები და რიტუალები სამხრეთ- | 2024-2025 | დაკრძალვის წესები და რიტუალები ადრე- | ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადრეანტიკურ-ელინისტურ ხანაში | | ანტიკურ-ელინისტურ ხანაში (ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვ-ნების მიხედვით)<br>ა) ციხისძირის სამაროვნის,<br>ბ) ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხური სამაროვნის მონაცემე-ბის დამუშავება, გაანალიზება. ცხრილების შედგენა. | **გ.თავამაიშვილის** წვლილი:<br>ა) ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული სამაროვნის და<br>ბ) ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული სამაროვნის მონაცე-მების დამუშავება, გაანალიზება.<br>ცხრილების შედგენა.<br>**ნინო ინაიშვილის** წვლილი: ციხისძირის სამაროვნის მონაცე-მების დამუშავება, გაანალიზება. |
| 2 | რომი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით I-IV საუკუნეებში | 2024-2028 | რომაული მონეტები მახოდან | ირინე ვარშალომიძე |
| 3 | აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები | 2024-2028 | ოთოლთას (ჭვანის ხეობა) და ჩხუტუნეთის (მაჭახლის ხეობა) ციხეების ტერიტორიებზე საველე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება | **ტარიელ ებრალიძე** (წვლილი: განახორციელა საკვლევი თემატიკის ირგვლივ არსებული წყაროებისა და ლიტერატურის მოძიება-დამუშავება; ხელმძღვანელობდა საველე არქეოლოგიური ექსპედიციებს; ასევე განახორციელა მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დამუშავება-ანალიზი.)<br>**მამულაძე სულხან** (წვლილი:განახორციელა საკვლევი თემატიკის ირგვლივ არსებული წყაროებისა და ლიტერატურის მოძიება-დამუშავება; ჩართული იყო საველე არქეოლოგიურ სამუშაოებში; ასევე განახორციელა მოპოვებული არქეოლოგიური |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | მასალის დამუშავება-ანალიზი.) |

*ანოტაცია*

--------------------

1. **ინაიშვილი ნინო, თავამაიშვილი გიორგი**

ორწლიანი (2024–2025) პროექტი ითვალისწინებს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ძეგლების – ციხისძირისა და ფიჭვნარის ადრეანტიკური-ელინისტური ხანის სამაროვნების მონაცემებზე დაყრდნობით დაკრძალვის წესებისა და რიტუალების შესწავლას სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადრეანტიკურ-ელინისტურ ხანაში. მასალის დიდი მოცულობის გამო მისი შესწავლა განზრახულია ორი ავტორის – ნინო ინაიშვილისა და გიორგი თავამაიშვილის მიერ.

ავტორების ერთობლივი კვლევის მიზანია ციხისძირისა და ფიჭვნარის სამაროვნების არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ზღვისპირა კოლხეთში გავრცელებული სამარხთა ტიპების, დაკრძალვის წესებისა და მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალების ანალიზი, მათი შედარება კოლხეთის სხვა რეგიონების (როგორც ზღვისპირა, ისე ცენტრალური, შიდა კოლხეთის) თანადროულ და წინარე ეპოქების (გვიანბრინჯაო–ადრერკინის ხანის) მსგავსი ტიპის ძეგლების მონაცემებთან, სამხრეთ კოლხეთის ზღვისპირა ზოლისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენის მიზნით. ამასთანავე, გაანალიზებული იქნება კონკრეტულ ეპოქაში ბერძნული კოლონიზაციისა და ელინიზაციის პროცესის გავლენა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა–ცხოვრებასა და რწმენა–წარმოდგენებზე, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ კონსერვატიულ სფეროში, როგორიცაა მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალები. ბუნებრივია, ფიჭვნარის სამაროვნებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში (ა.კახიძე, ნ.ვაშაკიძე) განხილული იყო მიცვალებულის დაკრძალვის წესებთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა ეს საკითხი დღემდე არ ყოფილა სპეციალური, სიღრმისეული კვლევის საგანი. მისი შესწავლა მეტ სინათლეს შეიტანს ძველი კოლხეთის სოციალურ–ეკონომიკური და სულიერი კულტურის პრობლემების შესწავლაში, ასევე მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული კოლხეთის მოსახლეობის რწმენა–წარმოდგენების რეკონსტრუირება–გააზრებაში. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ეპოქაში, არა მარტო კოლხეთის სანაპირო ზოლი, არამედ მთლიანად შავიზღვისპირეთი ხმელთაშუაზღვისპირეთთან ერთად ანტიკური კულტურის არეალში ექცევა, სამხრეთ კოლხეთის სანაპირო ზოლში აღმოჩენილი სამაროვნები მდიდარი არქეოლოგიური არტეფაქტებით საინტერესოა ანტიკური ხანის ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და კულტურის ისტორიკოსთათვისაც. ამდენად, აღნიშნული კვლევის შედეგები გათვალისწინებელი იქნება ანტიკოსთა მიერ ბერძნული კოლონიზაციის, ბერძნული ახალშენების თუ ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაციის პროცესების კვლევის თვალსაზრისითაც.

2024 წელს ავტორთა მიერ განხორციელდა ფიჭვნარის და ციხისძირის სამაროვნების ერთი ნაწილის მონაცემების დამუშავება და სტატისტიკური ცხრილების შედგენა დამარხვის წესის (ინჰუმაცია, კრემაცია), სამარხთა ტიპების (ორმოსამარხი, ჭურჭელში: ამფორა, დერგი და სხვ. დამარხვა), სამარხთა ორიენტაციის, ზომების, სამარხში მიცვალებულის პოზის (გაშოტილი, მოკრუნჩხული), სამარხებში ინვენტარის ჩაყოლების და სამარხში მათი განლაგების, სააღაპო მოედნების, მონეტების ჩაყოლებისა და სამარხში მათი ადგილმდებარეობის ზუსტი აღნუსხვა, გამოქვეყნებული მასალების, ზოგიერთ შემთხვევაში კი, საარქივო მასალების (დღიურები, ნახაზები, ფოტოები, ანგარიშები) გამოყენების

საფუძველზე. აღნიშნული სტატისტიკური ცხრილების მომზადება მნიშვნელოვანი ეტაპია დამარხვის წესის გარკვეული კანონზომიერების დასადგენად და ზოგადად, გათხრების პროცესში დაფიქსირებული მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალის მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოსაჩენად. გამოიკვეთა ადგილობრივ მოსახლეობაში ელინისტური ეპოქის შესაბამისი ძვრებითა და ბერძენ მოახალშენეებთან თანაცხოვრებით გამოწვეული ცვლილებები. ასევე ბერძენი მოახალშენეების მიერ საკუთარი წეს–ჩვეულებების შენარჩუნებისა თუ ტრანსფორმაციის ნიშნები, ბერძნული და ადგილობრივი თემების ურთიერთგავლენა.

2. ვარშალომიძე ირინე

ახ.წ. I-IV სს-ში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებული რომაული თავდაცვითი ხაზის, ე.წ. პონტოს ლიმესის ფუნქციონირების, ქრონოლოგიის, სამხედრო შენაერთების იდენტიფიკაციის, მომარაგების, ჯარის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის, ეკონომიკური ყოფის და კოლხეთის სამონეტო მიმოქცევის სრულყოფილად შესწავლისათვის ინფორმაციულია აქ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა. ჩვენი საკვლევი თემა შეეხება 2013 წელს მახოში არქეოლოგიური შესწავლისას გამოვლენილ რომის იმპერიაში მოჭრილ ვერცხლისა და სპილენძის მონეტებს, რომელთა რაოდენობა 50 ცალს აღემატება. საფასეები აქამდე გამოუქვეყნებელი იყო. მონეტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ვერცხლის მონეტები მოჭრილია კესარიაში შემდეგიიმპერატორების სახელებით: ადრიანე (117-138), ანტონინუს პიუსი (138-161), ლუციუს ვერუსი (161-169), სეპტიმიუს სევერუსი (193-211), იულია დომნა (†217) კარაკალა (198-217), პესცენიუს ნიგერი(193-194 ). მახოს სპილენძის მონეტები ცუდათაა დაცული, ისინი მოჭრილია შემდეგი იმპერატორების სახელებით: პრობუსი (277-282 წწ), დიოკლეტიანე (284-305 წწ), მაქსიმიანუსი (286-310 წწ). III საუკუნის II ნახევრის მონეტები აღმოჩენილია ჩაქვში, ციხისძირში, ბიჭვინტაში, სოხუმში. ისინი ძირითადად, სპილენძისაა და მოჭრილია რომში, ანტიოქიაში, ქიზიკში, სხვა ზარაფხანები – მედიოლანუმი, ტიცინუმი, სისცია, თესალონიკა – თითო ცალითაა წარმოდგენილი. IV საუკუნის პირველი ნახევრის მონეტები წარმოდგენილია ჭარნალის განძის სახით (230 ცალი); ასევე 500-ზე მეტი მონეტა გამოვლენილია ბიჭვინტაში. მათ შორის განძიც. სადაც, ჭარბობს ანტიოქიაში, კონსტანტინეპოლში, ნიკომედიაში, კიზიკში მოჭრილი სპილენძის ფულები. ამ პერიოდში არმიას ხელფასი ძირითადად სპილენძის მონეტების სახით ურიგდებოდათ. ამაზე მიუთითებს ე.წ. საარმიო ტიპი, წარწერა „დიდება არმიას“, ვიქტორია, ჯარისკაცები შუბებით და ა.შ. მახოში გამოვლენილი სპილენძის მონეტები რომის ჯარისკაცების კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

3. ებრალიძე ტარიელ, მამულაძე სულხან

2024 წელს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად აჭარისწყლის ხეობისა და, განსაკუთრებით, ოთოლთასა და ჩხუტუნეთის ციხე-სიმაგრეების შესახებ მოძიებულ და დამუშავებულ იქნა წერილობითი წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. აღნიშნული სამუშაოების შემდეგ, განხორციელდა საველე არქეოლოგიური სამუშაოები ზემოთაღნული ძეგლების ტერიტორიაზე.

ოთოლთას ციხე-სიმაგრე შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ტაკიძეებში, ჭვანისწყლის ქვემო წელზე, ოთოლთას წყლის შესართავთან ,,მთარანგელოზის“ ბორცვზე მდებარეობს XI-XIII სს ციხე. ოთოლთას ციხე აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მხრიდან ბუნებრივად დაცულია. აღმოსავლეთითა და სამხრეთით არსებული ფრიალო კლდეები, რომლის პირზეა დაშენებული ციხის გალავანი, მდინარე ჭვანისწყლამდე ეშვება. რაც შეეხება დასავლეთ მხარეს, მას ძირითადად დუღაბითა და ფლეთილი ქვით ნაგები მაღალი კედლები იცავდა.

რელიეფის თავისებურებებიდან გამომდინარე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დამხრობილი ციხის გეგმა არაწესიერი სამკუთხედის მოხაზულობისაა (ფართობი 936 კვ.

მეტრს შეადგენს. სიგრძე - 52 მ, სიგანე 18 მ). მისი აღმოსავლეთი გალავანი შედარებით სწორხაზოვანია (საერთო სიგრძე 49 მ; სისქე 1,6-2 მეტრამდე მერყეობს; შემორჩენილი სიმაღლე 1,5-5 მ-მდე) და მიუყვება კლდის კიდის კონტურს. საკმაოდ კარგადაა დაცული მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი, ხოლო უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. კედლის სიმტკიცისათვის დატანებული ქონია ნახევარწრისებური კონტრფორსები, ამ ეტაპზე ისინი ჩამოშლილია. გალავანი შუა და ჩრდილოეთ ნაწილში განიერია. ვარაუდობენ, რომ სწორედ ციხის შიდა გამმიჯნავ კედლთან ერთად ყველაზე დიდი დაწოლა მასზე მოდიოდა. გალავანი ხეობისკენაა მიმართული და შესაბამისად გაჭრილი აქვს სათვალთვალო სარკმლები (შემორჩენილია სამი სარკმელი). ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენაა დამხრობილი ჩრდილოეთი გალავანი. მისი ჩრდილო აღმოსავლეთი კუთხე მომრგვალებულია, შუა მონაკვეთში, აღმოსავლეთ გალავნის მსგავსად, კედლის სიმტკიცისათვის წესიერი წყობით ნაგები ნახევარწრისებური კონტრფორსია დატანილი, ხოლო ჩრდილოდასავლეთ კუთხეში, კონტრფორსის ფუნქცია უნდა შეესრულებინა კლდის კონტურზე აღმართულ კოშკს, რომლის მომრგვალებული უკანა მხარე (ზურგი) გალავანს გარეთაა გაზიდული და მთისკენაა მიმართული, ხოლო წინა მხარე სწორხაზოვანია. კოშკი, სართულის იატაკის საყრდენი საკოჭბეების მიხედვით, ორსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა ისიც, რომ გაწმენდითი სამუშაოებისას იატაკის დონეზე დაფიქსირდა ქვევრის ძირისა და კედლის ფრაგმენტები. ჩანს, რომ საქმე უნდა გვქონოდა სამეურნეო დანიშნულების განყოფილებასთან. ციტადელის ამ ნაწილმა ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ვიზუალურადაც კარგად ჩანს, რომ საქმე გვაქვს ციხის სხვა მონაკვეთებთან შედარებით უფრო ადრე აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთთან, რომელსაც მომრგვალებული კუთხე აქვს. კოშკის იატაკის დონის დაბლა მოთავსებული იყო ორი თონე. ანტიკურ და შუა საუკუნეთა ხანაში საქართველოში გავრცელებული იყო გეგმაში სწორკუთხა მოყვანილობის კოშკები (ზაგინეთი, დარიალი, ურბნისი, უჯარმა, ნოქალაქევი, ბებრისციხე და სხვა. ამ ციხეების კოშკების ერთი ან რამდენიმე კუთხე მრგვალდება. განვითარებული შუა საუკუნეების ეპოქის ციხეებში ძირითადად კვლავ სწორკუთხა მოყვანილობის კოშკებია. მაგრამ შემოდის კოშკის ახალი სისტემაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ კოშკზე შეინიშნება ნახევარწრისებური ფორმისადმი ხაზგასმა (თმოგვი, ასპინძა, ახალქალაქი, დმანისი და ა.შ,). ასეთი ფორმის კოშკები თავდაცვისათვის შედარებით ეფექტურია. ჭვანის ციხეზე წარმოდგენილია ორივე ფორმის - წაგრძელებული სწორკუთხა და ნახევარწრისებური ფორმის კოშკები. როგორც ჩანს, ორივე მათგანი ქმნიდა დამატებით საბრძოლოო მოედნებს, საიდანაც განსაზღვრულ მანძილზე გასწვრივი, ფლანკირებული გასროლებით იცავდნენ ციხის კედლებს. დასავლეთ გალავნის სამხრეთ მონაკვეთსა და კოშკს შორის, კედელთან ახლოს, საკმაოდ დიდი ზომის (სიგრძე 6,5 მ, სიგანე 1,6-1,8 მ) თხრილია გაკეთებული. რომელიც წყლით ივსებოდა. და ერთგვარ საიმედო ბარიერს წარმოადგენდა.

ციხის ეზოს უკიდურესი ჩრდილოეთი მონაკვეთის შუა ნაწილში შესწავლის დროს ყურადღება მიიქცია კიბისა და მის ქვეშ მოთავსებულმა საიდუმლო გვირაბმა. რომელიც შიდა ციხისა და ეზოს გამმიჯნავ კედელს უერთდება. კიბის ბოლო საფეხურთან კედელი მორღვეულია და ამ ეტაპზე შეუძლებელია შესასვლელის ზომების განსაზღვრა (არსებობის შემთხვევაში). კიბის ქვეშ მოთავსებული გვირაბი სწორედ კედლის მეორე მხარეს ამოდის. გვირაბიდან ციხის ციტადელზე ასვლა და შემდეგ შიდა ციხის ტერიტორიაზე ჩასვლა ხის კიბის გამოყენებით იყო შესაძლებელი. გვირაბში შესასვლელი მოწყობილია. ქვედა ნაწილში იგი მოგვაგონებს კარებს, რომლის წირთხლებში ორივე მხარეს დარჩენილია ურდულის გასაყრელი ბუდეები. მისი ჩაკეტვის შემთხვევაში მტერი ციხის ეზოს ტერიტორიაზეც რომ მოხვედრილიყო, შიდა ციხე და ციტადელი მაინც მიუვალი იქნებოდა. გვირაბი კიბის შემდეგაც გრძელდებოდა სამხრეთ-დასავლეთით და საკმაოდ დიდი მოცულობის წყლის

რეზერვუარს უერთდებოდა. შიდა ციხის მსგავსად, ეზოს ტერიტორიაზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დაფიქსირდა მარანი, რომელიც გამართული იყო მოსწორებულ მოედანზე. აღმოჩნდა 8 ქვევრი, მათგან ერთი დაუკურავი, დანარჩენი დაკირული. ძეგლზე წარმოებული სამუშაოების შედეგად, ძირითადად, ჩვენს მიერ აიკრიფა ქვევრის, თონის კედლებისა და კეცისებური ჭურჭლის ფრაგმენტები. ადრე ჩატარებული სამუშაოების დროს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალაა მოპოვებული (ჯამების, დოქების, კეცების, სასმისების, მოჭიქული თუ მოუჭიქავი ჭურჭლის, ნალებისა თუ სხვა სახის ნაკეთობები), რომელთა უმრავლესობა განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, ხოლო მცირე მათგანი ანტიკური ხანის ნაკეთობებს წარმოადგენს, რაც მიგვანიშნებს ციხის ტერიტორიაზე ადრეული პერიოდში დასახლების არსებობაზე.

2024 წელს საველე სამუშაოებს ვაწარმოებდით ასევე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობაში მდებარე ჩხუტუნეთის ციხის შიდა ტერიტორიაზე. თავდაპირველად დავიწყეთ ძეგლის მცენარეული საფარისგან გაწმენდითი სამუშაოები, რომლის შემდეგ, კარგად გამოიკვეთა კოშკი, კირხსნარით მოგებული იატაკი, წყლის რეზერვუარი, კონტრფორსების ნაშთები და ციხესთან დაკავშირებული გვირაბი. მიმდინარე წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად შესაძლებელი გახდა ციხის გეგმის აღდგენა, ძეგლის ტერიტორიაზე განლაგებულ სხვადასხვა ნაგებობათა დანიშნულებისა და ძეგლის მშენებლობისა და მისი ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა.

ციხე-სიმაგრე აღმართულია მდინარე მაჭახლისა და მის მარცხენა შენაკად დავითეთის წყლის ხერთვისში, ბუნებრივად შემაღლებულ კლდოვან ბორცვზე. მას ადგილობრივი მოსახლეობა „ყალივაკესაც" ეძახის. აქედან კარგად მოჩანს მაჭახლის ხეობის, კარჩხლისა და ზღვისპირეთისკენ მიმავალი გზები და ვრცელი ტერიტორია. როგორც ჩანს, იგი წარმოადგენდა მაჭახლის ხეობის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ერთ-ერთ საკვანძო ნაწილს, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ხეობაში გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზების დაცვის სისტემაში. მშენებლებს ციხის გეგმა რელიეფისთვის მოურგიათ და მისი ბუნებრივი შესაძლებლობანი, კლდის ფრიალო შვერილები, რაციონალურად გამოუყენებიათ. ციხის ბუნებრივად დაცულ მხარეებს წარმოადგენს ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი მხარეები (სურ.1). რაც შეეხება აღმოსავლეთ მონაკვეთს, აქ მშენებლებს ხელოვნური ბარიერები შეუქმნიათ.

კოშკი მდებარეობს ციხის შიდა ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. მისი კედლები სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში წრიული ფორმისაა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კედელი – კვადრატული. კოშკისა და გალავნის კედლები აგებულია ადგილობრივი ქვით. აქა-იქ გამოყენებულია კვადრებიც. ჩანს რომ, ისინი გამოუყენებიათ კუთხეებისა და სართულების გამიჯვნისთვის, ასევე ჩრდილოეთი კედელში დატანილი ღრმულების ირგვლივ. შეინიშნება მდინარის ქვის გამოყენების შემთხვევებიც. გათხრების შედეგად დადგინდა, რომ კოშკის ამჟამინდელი კედლის სიმაღლე 2.7 მეტრია. კოშკის (სიგრძე 5.45, სიგანე 4.65 მ) შიდა ფართობი კი 25 კვადრატულ მეტრს შეადგენს. კედლის სისქე განსხვავებულია, წრიული ფორმის კედლის მერყეობს 1.65 - 1.70, ხოლო კვადრატულის 1.1-1.3 მეტრს შორის.

კოშკს სიმტკიცისთვის ირგვლივ დატანებული აქვს ნახევარწრისებრი კონტრფორსები. მშენებლებს კოშკის აღმოსავლეთ ნაწილში 21 კვადრატული მეტრის ფართობზე მოსწორებული მოედანი (5x4.2 მ) შეუქმნიათ. იგი საგანგებოდ, თიხატკეპნილი იატაკით მოუმზადებიათ და ზევიდან 3-5 სმ სისქის დუღაბის ფენით დაუფარავთ. მისი დიდი ნაწილი დაზიანებულია.

რაც შეეხება გვირაბს, ის კოშკის ჩრდილოეთ მონაკვეთში მდებარეობს და მისი ამჟამინდელი სიგრძე 30 მეტრს შეადგენს. სწორედ გვირაბის ამოსასვლელიდან იწყება გალავნის კედელიც, რომლის სისქე 1 – 1.2 მეტრს შორის მერყეობს. გვირაბის შესასვლელი ნაწილის კონსტრუქციაში დატანებული აქვს ოთხკუთხა ფორმის ფოსოები. ისინი, როგორც ჩანს, მის ჩამკეტად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ციხის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად საკმაო რაოდენობის მასალა იქნა მოპოვებული. წამყვანია კერამიკული ნაკეთობანი, როგორიცაა: ქვევრებისა და დერგების პირისა და ტანის ნატეხები, ქოთნების, დოქების, სასმისების, ჯამების, კეცების და სხვ. ჭურჭლის ფრაგმენტები. ასევე, ფაიანსისა და მოჭიქული კერამიკის ნატეხები. საკმაო რაოდენობით გვხვდება გვიანშუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ჩიბუხებიც. მრავლად იქნა აღმოჩენილი დიდი ზომის ბირთვების, სხვადასხვა ზომის რკინის ლურსმნებისა და მოგვიანო პერიოდის ლითონის მასალები.

ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილ შენობა-ნაგებობათა მშენებლობის სტილისა და მოპოვებული მასალების მიხედვით შესაძლებლობა გვეძლევა გამოვყოთ ორი კულტურული ფენა: 1. შუასაუკუნეების XI-XV სს. და 2. ოსმალური პერიოდის XVI-XIX სს-ები.

სამეცნიერო -კვლევითი პროექტი: **„ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფიისათვის“**
ხანგრძლივობა: **2024-2025 წწ.**

| № | თემის დასახელება | ვადები | კონკრეტული ეტაპი | შემსრულებლები (მათი როლებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ანთიმოზ ივერიელის ბიოგრაფიისათვის | 2024-2025 | ანთიმოზ ივერიელი ქართულ და რუმინულ დოკუმენტალისტიკაში- 2024 წელი | უჩა ოქროპირიძე |

*ანოტაცია*

--------------------

1. ოქროპირიძე უჩა

ჩვენს მიერ მოპოვებული რუმინული და ქართული დოკუმენტალისტიკიდან ამოვიღე წმინდა ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიული სურათის განზოგადოებისათვის საჭირო დიდძალი მასალა [რუმინული - „საქართველოს შვილი და რუმინეთის სულიერი მამა“ – [1tv. ge/video/saqartvelos - shvili-da- ruminetis-sulieri mama.2000.28.04.2019], „წმიდა ანთიმოზ ივერიელი (საქართველოს შვილი და რუმინეთის სულიერი მამა“ [შემოკლებული ვარიანტი - 30 წუთი] და ქართული„ ქართველი მონა, რუმინელი ხალხის სულიერი მწყემსი“ [kvirispalitra.ge/artiche/12/80-qartveli-mona-rumineli-xalxis-sulieri-mwyemsi/...] და სხვა. მათი გამოყენებით შევქმენი ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი ისტორიული სურათი, რომელშიც ასახულია მისი ცხოვრებისათვის დამახასიათებველი უმთავრესი ასპექტები, მისდამი მიმართული ამაღლებულის ჩათვლით.

მათში გადმოცემულია ისეთი რუმინელი, ქართველი თუ სხვა ეროვნების გამოჩენილ სამეცნიერო თუ სასულიერო პირთა მოსაზრებანი ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, როგორებიც არიან: რუმინეთის აკადემიის საპატიო თავმჯდომარე, აკადემიკოსი გაბრიელ შტრემპელი, რუმინეთის აკადემიის იორგუ იორდანის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროფესორი ავრელია მიხაილოვიჩი, ბუქარესტის უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტის დოქტორი ქრისტინა დიმა, პროფესორები: ანასტასია ზაქარიაძე, დემურ ჯალაღონია, ირაკლი ბრაჭული, ვალერიან რამიშვილი, ალექსი ქშუტაშვილი, იონატ მოლდავიანუ; საქართველო კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ვიანიკას ვეკარსკურაკის პატრიარქი ქრისანთე, არქიმანდრიტი პოლიკარპე ჩიტილესკუ, ბუქარესტის მონასტრის არქიმანდრიტი კირილ ლოვინი და სხვები. ამ პიროვნებათა ინტრვიუებისა და მოსაზრებების გამოყენებით გავაკეთე 2024 წლის წლიური თემა „ანთიმოზ ივერიელი რუმინულ და ქართულ დოკუმენტალისტიკაში“.

- ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა დეა ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება

| № | თემის დასახელება | ვადები | კონკრეტული ეტაპი | შემსრულებლები (მათი როლებით) |
|---|---|---|---|---|
| 1. | ტაო-კლარჯულ კილოთა ლექსიკონი | 2024-2028 წწ. | 2024 წ. | ელზა ფუტკარაძე-ხელმძღვანელი, ნანული ნოღაიდელი, ციალა ნარაკიძე ნარგიზ ახვლედიანი, ცისნამ ზერიძე, კაკალა ებრალიძე |
| 2. | ქართული ემიგრანტული ლიტერატურის კვლევა | 2024-2028 წწ. | 2024 წ. | ელზა ფუტკარაძე-ხელმძღვანელი, ფატი აბაშიძე |
| 3. | თქმულება-გადმოცემები აჭარაში | 2024-2028 წწ. | 2024 წ. | ნაილე მიქელაძე-ხელმძღვანელი |

*ანოტაცია*

1. როგორც ცნობილია, ენათმეცნიერულად საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს სამხრულ-დასავლური დიალექტები-აჭარული და ტაო-კლარჯული. ამ კილოთა სიტყვიერი მასალის შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია. განსაკუთრებით ღირებული და ფასეული ტაო-კლარჯული ლექსიკის კვლევაა. როგორც ცნობილია, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, დიდხანს შეუსწავლელი იყო ტაო-კლარჯული მეტყველება. დღეს ამ მიმართებით არაერთი ფუნდამენტური კვლევაა. შესაბამისად, სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალა იძლევა საშუალებას დავაკვირდეთ საკვლევი დიალექტოლოგიური არეალის ლექსიკას. ამასთანავე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ, 2013 წლიდან ტაო-კლარჯეთში სისტემატურად ხორციელდება კომპლექსური ექსპედიციები, რომლის დროსაც მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ ჩაწერილია ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური მასალა. აღნიშნული მასალაც დამუშავდება და გამოვლენილი სალექსიკონო მასალაც აისახება ლექსიკონში. მუშაობის პერიოდში, ყოველწლიურად ისევ მოეწყობა ექსპედიცია აღნიშნულ მხარეებში. შესაბამისად, სალექსიკონო მასალა გამდიდრდება-გადამოწმდება და დაზუსტდება. ბუნებრივია, ლექსიკონზე მუშაობის დროს, დამუშავდება საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული სტატიები.

წარმოდგენილი კვლევა მნიშვნელოვანი და ზედროულია, რამეთუ იქ, სამწუხაროდ, ახალგაზრდებმა ნაკლებად ან სულ აღარ იციან ქართული ენა. ენა ხანდაზმულ და შუაასაკს გადაცილებულებშია შემორჩენილი. ყოველდღიურად კარგავს იქ ქართული ენა საოჯახო ენის ფუნქციას. ამას კომპლექსური მიზეზები განაპირობებს და რეალობაა ის, რომ ენის დავიწყების პროცესი შეუქცევადია. ამიტომ, მოსასწრები და დროულად გადასარჩენ-დასაფიქსირებელია თითოეული სიტყვა. აღნიშნული კვლევის საბოლოო შედეგით- „ტაო-კლარჯული ლექსიკონი"- ხელთ გვექნება დიალექტის სალექსიკონო მასალის პორტრეტი.

ასევე, წარმოდგენილი კვლევით ტაო-კლარჯულ კილოებში, საუკუნეთა მსვლელობისას შექმნილი პირობების შესაბამისად გაჩენილი ლექსიკური ერთეულები გამოვლინდება.

სალიტერატურო ენა დიალექტებით საზრდოობს. ამა თუ იმ დიალექტში გამოვლენილი გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურება, ხელს უწყობს სალიტერატურო ენის განვითარებას, სალიტერატურო ენის ლექსიკის გამდიდრებას. დავსძენთ, რომ ბევრი ლექსიკური ერთეულია შემონახული ტაო-კლარჯული ქართულით. კერძოდ, ის ლექსიკური

ერთეულები, რომლებიც აღარ გვხვდება სალიტერატურო ენაში, მის დიალექტებში და შემოგვინახა ტაო-კლარჯულმა ლექსიკამ.

ქართულ სალიტარატურო ენას მოწყვეტილი დიალექტი თავისი შინაგანი ძალით აგრძელებდა უცხო ენობრივ არეალში არსებობას. გაჩნდა ბევრი სახასიათო ლექსემა, საინტერესო ლექსიკური დიალექტიზმები და ენათა კონტაქტების შედეგად გაჩენილი ნასესხები ლექსიკა დიალექტში. ამ ლექსიკურ ერთეულთა აღწერა და სალექსიკონოდ დამუშავება სრულყოფილ წარმოდგენას მოგვცემს ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული დიალექტების ლექსიკის შესახებ. თან, აღნიშნული კვლევით პირველად შემოვა სამეცნიერო მიმოქცევაში საკვლევი დიალექტის ლექსიკონი. მოძიებულ სალექსიკონო მასალას შევუდარებთ სალიტერატურო ენისა და დიალექტის ლექსიკონებს.

ამდენად, კვლევის მიზანია ტაო-კლარჯულ კილოთა ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა და ამის საფუძველზე ლექსიკონის მომზადება. ამ მიზნიდან გამომდინარე, დაგეგმილია კონკრეტული ამოცანები. კერძოდ, 2024 წ. ამოცანა იყო სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული მასალის დამუშავება. დამუშავდა მოგზაურთა(ნ. მარი, ე. თაყაიშვილი...) ჩანაწერები, შ. ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართული"(I-II-III ტ.), ბსუ-ს ქართველოლოგიური ჯგუფის გამოცემები: „კლარჯეთი", „ტაო", „შავშეთი", „კლარჯული ფოლკლორი", „შავშური ფოლკლორი" და სხვა. დამუშავდა ჩვენი ინსტიტუტის ექსპედიციების შედეგად ჩაწერილი მასალა და საერთოდ, საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული სტატიები. საანგარიშოდ წარმოდგენილი ეტაპისათვის დამუშავებული მასალიდან ბარათებზე ამოწერილია ლექსიკური ერთეულები კონტექსტით და განმარტებულია.

2. ჩვენი ქვეყნის ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შედეგად, ქართველი ხალხის ერთმა ნაწილმა დატოვა მშობლიური სამშობლო და უცხოეთში გადაიხვეწა. უცხო ქვეყნის საზღვრებში მოქცეულ ქართულ მიწაზე მცხოვრები და უცხოეთში გახიზნული ქართველობა ინარჩუნებდა ეროვნულ ცნობიერებას, ქართულ ტრადიციას, ქართულ ენას. ამის დასტურია ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებში გადანახული ქართული სიტყვა, პარიზში გახიზნულ ქართველთა სატკივარის პოეტურ ჰწკარედებად გამჟღავნება.

სამშობლოს დაშორებულმა ქართველებმა საუკუნეთა მანძილზე შეინარჩუნეს არა მხოლოდ ქართული ცნობიერება, არამედ შექმნეს სულიერი კულტურაც. იქიდან იხმოდა მეცნიერული ხმაც, ხელოვნებასაც ემსხურებოდნენ, ქართული მხატვრული სიტყვაც გაანედლეს, ქართული პროზისა და პოეზიის სახით შექმნეს ემიგრანტული მწერლობა. ეს კი თავისთავად ქართული მწერლობის განუყოფელი და ორგანული ნაწილია.

უცხოეთში მოღვაწე ქართველების მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი შექმნილია ქართულ და უცხოურ ენაზე. ბუნებრივია, ორივე შესასწავლია. ამ მიმართებით კვლევა აქტუალური და მნიშვნელოვანია. მათი ნააზრევი სიღრმისეულ შესწავლას იმსახურებს. ცნობილია ზოგადი სურათი მათი ღვაწლისა. თითოეული ემიგრანტი მწერლის, პოეტის, ისტორიკოსის, პოლიტიკოსის- მიხაკო წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის, ალექსანდრე მანველიშვილის, გიორგი კერესელიძის, მინდია ლაშაურის, აკაკი და თამარ პაპავების, გრიგოლ რობაქიძის, შალვა ამირეჯიბის, გიორგი გამყრელიძის, გიორგი ყიფიანის, სიმონიკა ბერეჟიანის და სხვათა შემოქმედება ნამდვილად სრულყოფილადაა საკვლევი.

სამეცნიერო საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია გიორგი ყიფიანის, გიორგი გამყრელიძის, სიმონიკა ბერეჟიანის პოეტური ნააზრევ-ნაფიქრი. მათი ლექსების კრებულები პარიზშია გამოცემული. ჩვენთვის ამ კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი ცნობილია და გვაქვს წვდომა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში მუშაობის გამოცდილებიდან გამომდინარე. ისინი მათ ნაწერებს ბეჭდავდნენ ემიგრანტულ პრესაში. ემიგრანტული პრესის მნიშვნელოვანი ნაწილი კი დაცულია სტამბოლის სავანეში.

მათი შემოქმედების შესწავლა და საზოგადოებისათვის გაცნობა მნიშვნელოვანი და აქტუალურიცაა. ამასთანავე, კვლევა მეცნიერული სიახლის იქნება. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, ამ ეტაპზე, კონკრეტულად და სიღრმისეულად შეისწავლება გიორგი ყიფიანის, გიორგი გამყრელიძის, სიმონიკა ბერეჟიანის პოეზია. ამ ეტაპისათვის დამუშავდა საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. ასევე, დამუშავდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული მასალა. სავანეში მასალის მოსაძიებლად მუშაობა გრძელდება.

წარმოდგენილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის გარდა, პარალელურად დასრულდება დაწყებული კვლევითი აქტივობა. კერძოდ, 2025 წწ. გამოიცემა იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ მონოგრაფია (ავტორები-რ. მალაყმაძე, ე.ფუტკარაძე). აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით მომზადდა რამდენიმე სამეცნიერო სტატია და მოხსენება. უკვე მზადაა მონოგრაფიის ძირითადი ნაწილი.

3. საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს ისტორიულ-რელიგიურ და მითოსურ კულტებთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები აჭარაში. უცხოტომობრივი და რელიგიური გავლენების მიუხედავად, საკვლევი რეგიონის ზეპირსიტყვიერება, ინარჩუნებს ავთენტურ სახეს.ზოგიერთ მათგანს შეიძლება არც კი ჰქონდეს სიუჟეტური გამოხატულება, თუმცა ამ მიმართულებითაც საკითხის კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ფოლკლორული მასალები ის წყაროა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ამა თუ იმ საკითხის შესწავლის საქმეში. აჭარაში დაცულ მითოსს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ ფოლკლორში, ვინაიდან იგი წარმოადგენს უნიკალურ კომბინაციას ადგილობრივ ტრადიციებსა და ზოგადქართულ მითოლოგიურ ელემენტებს შორის.

კვლევის მიზანია კონკრეტულად, ქრონოლოგიური სიზუსტით წარმოვადგინოთ და შევისწავლოთ უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის თქმულება-გადმოცემები (ქვის ანიმისტურ კულტთან დაკავშირებული ნარატივები, უძველესი ანიმისტური რწმენა-წარმოდგენების ტრანსფორმაციის საფეხურები, წარმართულ-ქრისტიანული ხანის სახელთა ეტიმიოლოგიასთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები). კვლევის საბოლოო შედეგები აისახება მონოგრაფიაში. კვლევის ამ ეტაპისათვის დავამუშავეთ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის არქივში დაცული მასალები. ასევე, ზემო აჭარაში, ბეშუმსა და სხვადასხვა სოფელში, მოვიძიეთ და ჩავიწერეთ უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის თქმულება-გადმოცემები, რომლებიც სახეცვლილად გვხვდება მკვიდრთა მეხსიერებაში.

## II. სამეცნიერო საგრანტო პროექტები (ეროვნული/შიდა საუნივერსიტეტო/სხვა დაფინანსებით):

ა) დასრულებული

| № | თემის დასახელება | დამფინანსებელი | წამყვანი ორგანიზაცია | მონაწილეთა რაოდენობა | მონაწილეები განყოფილებიდან /დეპარტამენტიდან |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | რა იგებს | სსიპ შოთა | ბათუმის | 5 | რუსლან ბარამიძე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | არჩევნებს საქართველოში | რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | | |
| 2 | Our Past and Future: Dissidents' Discussions on Country and People (Georgia, Armenia, Ukraine) | მაქს ვებერი ფონდის საქართველოს ოფისი | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 1 | რუსლან ბარამიძე |
| 3 | ფულადი მიმოქცევა და საბანკო საქმე XIX საუკუნის II ნახევრის და XX დასაწყისის ბათუმში | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიზნობრივი საგრანტო პროექტი | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4 | ირინე ვარშალომიძე |
| 4 | ლაზური ეთნოგრაფიული ლექსიკონი, ქართველოლოგიის დარგი, ლექსიკოლოგია, ეთნოლოგია, FR-2-1 12533, 2022-2024 წწ. | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 6 | ციალა ნარაკიძე |

*ანოტაცია*

--------------------

1. **რა იგებს არჩევნებს საქართველოში** - პროექტით შესწავლილი იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საპრეზიდენტო არჩევნებში შედეგებით პირველი ორი კანდიდატის ყველა წინასაარჩევნო მიმართვის (პოლიტიკური დისკურსი), სხვა თანამდევი მასალების, პოსტსაარჩევნო აქტივობებისა და დაინტერესებული ჯგუფებზე ზემოქმედების პრაქტიკები. პროექტით წარმოჩნდა საარჩევნო სტრატეგიებში წარმატების განმსაზღვრელი მოდელები და ლეგიტამაციის უზრუნველყოფის/შენარჩუნების სტრატეგია. განხორციელდა პოლიტიკური დისკურსის დისციპლინათაშორისი კრიტიკული კვლევა. 2024 წელს დასრულდა და გამოიცა პროექტის ფარგლებში მომზადებული მონოგრაფია: „PRESIDENTIAL ELECTIONS IN THE SOUTH CAUCASUS: POLITICAL TRANSFORMATIONS, IMAGINED UNITY, AND MEMORY DISCOURSES“ („საპრეზიდენტო არჩევნები სამხრეთ კავკასიაში: პოლიტიკური ტრანსფორმაციები, წარმოსახვითი ერთობა და მეხსიერების დისკურსები)

2. Our Past and Future: Dissidents' Discussions on Country and People (Georgia, Armenia, Ukraine) - მაქს ვებერის ფონდის საქართველოს ოფისის კვლევითი სტიპენდიის ფარგლებში ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი რუსლან ბარამიძე 2024 წლის 30 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით იმყოფებოდა ბრემენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ბრემენის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კვლევის ცენტრის არქივსა და ბიბლიოთეკაში დაცულია აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ სსრკ-ში დისიდენტურ მოძრაობასთან დაკავშირებული საარქივო მასალები, პერიოდიკა და შესაბამისი ლიტერატურა. რ. ბარამიძემ კვლევითი პროექტის «Our Past and Future: Dissidents' Discussions on country and People (Georgia, Armenia, Ukraine)» ფარგლებში მოიპოვა საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში და უკრაინაში 1980-იანი წლების ბოლოს არსებულ ვითარებასთან დაკავშირებული მასალები (სხვადასხვა საარქივო ფონდებში დაცული მასალების 289 გვერდის და ბიბლიოთეკაში დაცული 7 ნაშრომის ასლები). მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით დაგეგმილია სამეცნიერო ნაშრომის მომზადება.

3. ფულადი მიმოქცევა და საბანკო საქმე XIX საუკუნის II ნახევრის და XX დასაწყისის ბათუმში
ფულადი მიმოქცევის კვლევა XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისის ბათუმში, აქტუალური საკითხია, რადგან მჭიდროდაა დაკავშირებული აქ მიმდინარე გლობალურ ისტორიულ პროცესებთან და სრული ობიექტურობით ასახავს მას.ფულადი მიმოქცევა XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისის ბათუმში საგანგებოდ არავის შეუსწავლია.საკითხის შესწავლისათვის ძირითადი ბაზაა ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ამავე პერიოდის ნუმიზმატიკური მასალაა.მონეტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საკვლევ პერიოდში სამონეტო მიმოქცევაში დომინანტური იყო რუსული ფული, შემდეგ ოსმალური, ირანული, მიმოიქცეოდა ევროპის წამყვანი ქვეყნებისა (ავსტრიის, საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრია-უნგრეთის, საბერძნეთის, იტალიის, გერმანიის) და მათი კოლონიების მონეტები. XIX ს-ის II ნახევრის რუსეთის და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ნიშნების მრავალფეროვნება დაკავშირებული უნდა იყოს ბათუმის, როგორც სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქის ფუნქციასთან. 1878-1886 წწ-ში ბათუმში უბაჟო (თავისუფალი) საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეჟიმი ფუნქციონირებდა. სავაჭრო ურთიერთობებს მოჰყვებოდა ევროპის ქვეყნების ფულადი ნიშნების შემოდინებაც. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების, კაპიტალისტური წარმოების განვითარებამ და ვაჭრობის გაფართოებამ საჭირო გახადა საბანკო სესხების საჭიროება. 1890 წელს ბათუმში ამოქმედდა თბილისის კომერციული ბანკის განყოფილება, რომელიც აქტიურად ჩაება ქალაქისა და ნავსადგურის ფინანსურ საქმიანობაში. აჭარის არქივში (ფონდი 0-45) დაცულია ბათუმში ბანკისათვის შენობის და მიწის გამოყოფის შესახებ,დაარსებისა და ფუნქციონირების შესახებ საინტერესო მასალა. არქივში მოვიპოვეთ დოკუმენტები აჭარაში ყალბი ფულის შემოსვლასთან დაკავშირებით. ასევე საინერესოა ბათუმში, კერძოდ, ბარცხანა-ორთაბათუმში 1908 წელს ყალბი ფულის საამქროს გამოვლენა.საარქივო დოკუმენტებით ცნობილი ხდება ბათუმის ბანკის ურთიერთობები აზიურ-რუსულ და სხვა ევროპულ ბანკებთან და სხვ.

4. ლაზური ეთნოგრაფიული ლექსიკონი, ქართველოლოგიის დარგი, ლექსიკოლოგია, ეთნოლოგია, FR-2-1 12533, 2022-2024 წწ.
თანამედროვე ურბანიზაციის განვითარების, მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საფრთხის წინაშე დადგა ტრადიციული კულტურული ფასეულობების სიცოცხლის უნარიანობა. აქედან გამომდინარე, ამ პროცესების ფონზე, ვფიქრობთ, ლაზური ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის თავმოყრა და ბეჭდურ გამოცემაში მისი ასახვა პრობლემათა წარმატებულ გადაჭრას წარმოადგენს. საკვლევი თემის მიზანიც, სწორედ, ლაზური ეთნოლოგიური ტერმინოლოგიის შესწავლა იყო.

ამ მიზნით კვლვის ფარგლებში ჟორჟ დიუმეზილის, იოსებ ყიფშიძის, ირინე ასათიანის, ხასან ჰელიმიშის, ნოდარ კაკაბაძის, სერგი ჟღენტის, ომარ მემიშიშის და სხვათა ნაშრომებიდან მოძიებული, ასევე, სამეცნიერო ექსპედიციების დროს შეკრებილი მასალა განმარტებულია. წეს-ჩვეულებებთან და თამაშებთან დაკავშირებულ ტერმინთა უმრავლესობა სათანადოდაა აღწერილი. აღმოჩნდა ისეთი ეთნოლოგიური ტერმინებიც, რომლებიც თანამედროვე ლაზთა მეტყველებაში აღარ გამოიყენება. ბევრი ტერმინიც ნასესხობის გზითაა შემოსული და დამკვიდრებული თურქულიდან და ბერძნულიდან. მზადაა ლექსიკონის ელექტრონული ვერსია.

ბ) გარდამავალი

| № | თემის დასახელება | დამფინანსებელი | წამყვანი ორგანიზაცია | მონაწილეთა რაოდენობა | მონაწილეები განყოფილებიდან /დეპარტამენტიდან |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში FR-23-18809 | სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 4 | როინ მალაყმაძე ოლეგ ჯიბაშვილი თამილა ლომთათიძე |
| 2 | აჭარის არქეოლოგიური ძეგლები საინფორმაციო გეოგრაფიულ სისტემაში | რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, შავი ზღვისა და ზღვისპირა რეგიონის კვლევების საგრანტო კონკურსი- შავი ზღვის ლურჯი განვითარება | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი | 5 | ირინე ვარშალომიძე |
| 3 | ჯადოსნური სკივრი მუზეუმიდან | რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივი საგრანტო კონკურსი | ჯგუფური პროექტი | 5 | ირინე ვარშალომიძე |
| 4 | აჭარის რეგიონიდან განსახლებული | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2024-2026წ. | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო | 6 | ელზა ფუტკარაძე |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ეკომიგრანტებ ის ადაპტაცია და ინტეგრაცია საქართველოს ადგილობრივ თემებში FR-23-488 | | უნივერსიტე ტი | | |

*ანოტაცია*

--------------------

1. პროექტი - **„ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში"** - ითვალისწინებს აჭარიდან 1951-1952 წლებში დეპორტირებულთა, მათი ოჯახის წევრებისა და შთამომავლების ზეპირი ისტორიების შეგროვებას, შესწავლას და გამოცემას. ეს იყო საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე ყველაზე ბოლო მასობრივი დეპორტაციები. პროექტის მიზანია შესწავლილი იქნას არა მხოლოდ ამ მოვლენის ისტორიული კონტექსტი, არამედ პროცესების მონაწილეთა ნარატივები საბჭოთა ეპოქის ამ ერთ-ერთი ყველაზე ტრავმული პერიოდის მოვლენის შესახებ, მოვლენების შეფასება რეპრესირებულების მიერ.

ამ მიზნით ხორციელდება როგორც ისტორიული დოკუმენტების და საარქივო მასალის, როგორც ოფიციალური ისტორიული ნარატივის ანალიზი, ასევე, რეპრესირებულთა და მათი ოჯახის წევრების მეხსიერებაში შემონახული მოვლენების ინტერპრეტაცია, მოცემული ზეპირ ისტორიებში. ამიტომაც კვლევა შედგება ორი კომპონენტისაგან. პირველი კომპონენტი გულისხმობს სახელმწიფოს ხედვის რეპრეზენტაციას, თუ რატომ მოხდა 1951 წელს გადასახლებები აჭარიდან, რა მიზანს ემსახურებოდა ის და როგორი იყო სახელმწიფოს დამოკიდებულება ამასთან მიმართებით. მეორე ნაწილი კი გულისხმობს მსხვერპლთან უშუალო ინტერვიუების საშუალებით აღვადგინოთ მიკროისტორიები, შემონახული რეპრესირებულთა და მათი ოჯახის წევრების მეხსიერებაში.

საანგარიშო პერიოდში ჯგუფმა დაიწყო მუშაობა მეთოდოლოგიის შემუშავებაზე. დაზუსტდა საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია, შეიკრიბა და დამუშავდა საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, რის საფუძველზეც შემუშავდა საველე სამუშაოებისათვის განკუთვნილი ანკეტის კითხვები.

დაიწყო პროექტთან დაკავშირებული საარქივო და სამუზეუმო მასალების დამუშავება:. პროექტისათვის საჭირო ზეპირი ისტორიების შეგროვებისათვის დადგინდა მუნიციპალიტეტის მიხედვით რეპრესირებულთა სიები. რეპრესირებულების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების შემდეგ განხორციელდა სამეცნიერო მივლინება ხელვაჩაურისა და ხულოს მუნიციპალიტეტების სოფლებში. მივლინების დროს შეგროვდა რეპრესირებულებისა და მათი ოჯახის წევრების ზეპირი ისტორიები, შესწავლილი იქნა საოჯახო არქივები, შეგროვდა ვიზუალური მასალა (ფოტოები, დოკუმენტების ასლები, წერილები). დაიწყო სამეცნიერო მივლინების მასალების დამუშავება-ანალიზი.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული იქნა მოხსენება „1951-1952 წლების დეპორტაციები საბჭოთა საქართველოდან და მისი ადგილი ისტორიოგრაფიაში" (დ.ჯიშკარიანი)

2. აჭარის არქეოლოგიური ძეგლები საინფორმაციო გეოგრაფიულ სისტემაში

აჭარა ზღვისპირა რეგიონია, მდიდარი არქეოლოგიური ძეგლებით, რომელთა პერიოდიზაცია პრეისტორიული ხანიდან იწყება. აჭარის ტერიტორიაზე განხორციელებულ საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად მოპოვებულია სხვადასხვა პერიოდის

ნივთიერი კულტურის ძეგლები, მათგან ბევრია უნიკალური. ამის საფუძველზე შექმნილია საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც ეხმაურება არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის, არამედ მსოფლიო ცივილიზაციების არაერთ აქტუალურ პრობლემას. კვლევის შედეგები ქვეყნდება საქართველოსა და უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში, გამოცემულია მონოგრაფიები. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც მეცნიერებისათვის, ისე დაინტერესებული პირებისათვის, მაგრამ დღის წესრიგში დადგა ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენების აუცილებლობა.

პროექტის საბოლოო პროდუქტი იქნება აჭარის ზღვისპირეთის პირველი ელექტრონული არქეოლოგიური რუკა სრული ინფორმაციით აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა არქეოლოგიური ობიექტის შესახებ (ობიექტის დასახელება, ტიპი, ქრონოლოგიური ატრიბუცია (ისტორიული ეპოქა, ზუსტი თარიღი), გეოგრაფიული კოორდინატები, შესწავლის ისტორია, თანდართული ფოტოებით, გრაფიკული ნახაზებით, სტატიებისა და სხვა სახის ნაშრომების pdf ვერსიებით).

3. ჯადოსნური სკივრი მუზეუმიდან

საგრანტო პროექტის მიზანი არქეოლოგიის მეცნიერების პოპულარიზაციაა და ამ მიზნით სამეცნიერო-პოპულარული ფილმის შექმნა ინგლისური ტიტრებითა და ჟესტური თარგმანით მუზეუმებში დაცულ არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ მასალაზე, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დაეხმარება არქეოლოგიურ/ისტორიულ მუზეუმში დაცული ნივთების უკეთ აღქმაში, მათი დანიშნულების შესახებ სრული ინფორმაციის მიღებაში. მუზეუმი საზოგადოებრივი მეხსიერების საცავია. აქ დაცული არტეფაქტები კარგი საფუძველია საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, რომელთა მეშვეობითაც მოზარდები ეზიარებიან სამეცნიერო აღმოჩენებს, მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთა კვლევის შედეგებს. მუზეუმის ძირითადი აქტივობები მეტწილად ამ სფეროდანაა და დაკავშირებულია საზოგადოების ყველაზე აქტიურ წევრებთან, ბავშვებთან, თუმცა ეს ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოველთვის არაა, ინფორმაციულ ვაკუუმში რჩება მოზარდთა ჯგუფები სენსორული განვითარების დარღვევით (სმენა, მხედველობა). იმისათვის, რომ მათაც ჰქონდეთ საშუალება მიიღონ სრულფასოვანი ინფორმაცია, გაჩნდა იდეა სასწავლო ფილმის შექმნისა, რომლის მოქმედი გმირები მუზეუმის მეცნიერ-მკვლევრებია. ისინი ისტორიის სხვადასხვა პერიოდის შესახებ ისაუბრებენ მუზეუმში დაცული ექსპონატებიდან სპეციალურად შერჩეული ნიმუშების მეშვეობით. ფილმის გარდა შეიქმნება ამ ნივთების მულაჟები მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის, ხოლო სმენის პრობლემის მქონე ბავშვებისათვის ფილმს ექნება ჟესტურ ენაზე თარგმანი.

4. აჭარის რეგიონიდან განსახლებული ეკომიგრანტების ადაპტაცია და ინტეგრაცია საქართველოს ადგილობრივ თემებში

წარმოდგენილი საგრანტო კვლევითი პროექტის მიზანი აჭარის რეგიონიდან განსახლებული ეკომიგრანტების საქართველოს ადგილობრივ თემებში ადაპტაციისა და ინტეგრაციის საკითხების შესწავლაა. საგრანტო პროექტის გეგმა-გრაფიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დამუშავდა საკითხთან დაკავშირებული ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა, პრესა და საარქივო ფონდის მასალები. ასევე, მოეწყო ექსპედიცია კახეთის რეგიონში. ექსპედიცია კომპლექსური იყო და საკვლევ არეალში სოციოლოგიური, ეთნოლოგიური, დიალექტოლოგიური, კონფლიქტოლოგიური კუთხით მიმდინარეობდა საკითხის კვლევა. სამუშაოდ შეირჩა ისეთი დასახლებები, სადაც უმრავლესობაში, ასევე, უმცირესობაში არიან აჭარიდან განსახლებულები და სახლობენ კომპაქტურადაც. კვლევის შედეგები სამომავლოდ აისახება სამეცნიერო სტატიებში, მოხსენებებსა და საბოლოოდ მონოგრაფიაში.

გ) პროექტები უცხოური დაფინანსებით

| № | თემის დასახელება | დამფინანსებელი | წამყვანი ორგანიზაცია | მონაწილეთა რაოდენობა | მონაწილეები განყოფილებიდან /დეპარტამენტიდან |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |

*ანოტაცია*
--------------------

III. სამეცნიერო პუბლიკაციები:

*ივსება სამეცნიერო ერთეულის/დეპარტამენტის პერსონალის* ***ანბანური სიის მიხედვით.*** *პუნქტი, რომელიც არასრულად იქნება შევსებული, არ ჩაითვლება.*

ა) მონოგრაფია/წიგნი:

| № | ავტორი | სათაური | გამომცემლობა | საერთ. კოდი (ISBN) | გვერ. რაოდ. | თანაავტორ(ებ)ი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ავტორთა ჯგუფი | აჭარა უძველესი დროიდან თანამედრო-ვეობამდე | მთავარი რედაქტორი როინ მალაყმაძე, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2024 | ISBN 978-9941-8-6322-6 | 499 | ავტორები ინსტიტუტის თანამშრომლებიდან: **თურმანიძე ოთარ, კახიძე ნოდარ, ლომთათიძე თამილა, ფუტკარაძე ელზა, მალაყმაძე როინ, მეგრელიშვილი მერაბ, ოქროპირიძე უჩა, ფუტკარაძე შუშანა, ჩელებაძე ნაილა, ჭიჭილეიშვილი მაია, ვარშალომიძე ირინე, ჯიბაშვილი ოლეგ.** |
| 2. | აბაშიძე ფატი, ფუტკარაძე ელზა, ნოღაიდელი ნანული, | „აჭარული საუნჯე“, ტ. VI | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის | ISBN 978-9941-488-93-1 | 361 გვ. | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ნარაკიძე ციალა, მიქელაძე ნაილე, ახვლედიანი ნარგიზ, ბერიძე ცისნამი | | გამომცემლობა | | | |
| 3. | Baramidze Ruslan | PRESIDENTIAL ELECTIONS IN THE SOUTH CAUCASUS: POLITICAL TRANSFORMATIONS, IMAGINED UNITY, AND MEMORY DISCOURSES | Favorite | 978-9941-8-6641-8 | 234 | Sergey Rumyantsev, Maia Bolkvadze, Sevil Huseynova, Jafar Akhundov, Mikayel Zolyan |
| 4. | კახიძე ნოდარ, მალაყმაძე როინ, მამულაძე სულხან. | ისტორიისა და კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში | სტამბა „ფავორიტი სტილი“ | ISBN 978-9941-8-6321-9 | 168 | |
| 5. | მალაყმაძე როინ, ფუტკარაძე ელზა, ფუტკარაძე შუშანა. | „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, წიგნი მესამე. | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა | ISBN-978-9941-9945-4-8 | 536 | |

*ანოტაცია*

--------------------

1. „აჭარა უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე“

წიგნი მომზადდა ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეგიდით, ხოლო გამოცემა დაფინანსდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ. ავტორთა ჯგუფში

შევიდა ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

მონოგრაფიული ნაშრომი მოიცავს აჭარის ისტორიას უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. მასში სიღრმისეულადაა გაშუქებული წარსულის სხვადასხვა ეტაპი (ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების მმართველობა, პირველი რესპუბლიკის პერიოდი, საბჭოთა პერიოდი, თანამედროვე ეტაპი). გარდა ამისა, მაღალაკადემიურ დონეზეა განხილული აჭარასთან დაკავშირებული ფიზიკური გეოგრაფიის, ეტიმოლოგიის, დემოგრაფიის, ეთნოლოგიის, მატერიალური და სულიერი კულტურის, ნუმიზმატიკის, არქეოლოგიის, განათლების, მეცნიერების და სპორტის საკითხები.

წიგნს ერთვის გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია, ფოტოილუსტრაციები და გამოკვლევის ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე.

2. „აჭარული საუნჯე“, ტ. VI

კრებულში - „აჭარული საუნჯე“, ტ. VI - წარმოდგენილია ინსტიტუტის არქივში დაცული, 1959 წ. ჩატარებული საველე ექსპედიციის დროს, შუახევის რაიონის სოფლებში, ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ შეკრებილი მასალიდან ხალხური სიტყვიერების ნაწილი. კრებულით წარმოდგენილი ხალხური პროზისა და პოეზიის სხვადასხვა ჟანრის ნიმუშები თემატურადაც მრავალფეროვანია. კრებულს ერთვის საძიებლები და ტექსტებში გამოყენებული სალექსიკონო მასალის განმარტება. მასალა პრაქტიკული გამოყენების კუთხითაც მნიშვნელოვანია და გამოადგება აჭარის დიალექტოლოგიის, ფოლკლორის, ეთნოლოგიისა და ქართველოლოგიური საკითხებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

3. PRESIDENTIAL ELECTIONS IN THE SOUTH CAUCASUS: POLITICAL TRANSFORMATIONS, IMAGINED UNITY, AND MEMORY DISCOURSES – კოლექტიური მონოგრაფია წარმოადგენს ავტორთა ჯგუფის მიერ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული საგრანტო პროექტის "რა იგებს არჩევნებს საქართველოში" (#FR-18-8649) ფარგლებში მომზადებულ ნაშრომს. მასში ასახულია საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საპრეზიდენტო ინსტიტუტის ჩამოყალიბება და საპრეზიდენტო არჩევნების სპეციფიკა. საპრეზიდენტო ინსტიტუტის ფორმირების სპეციფიკა, საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში გამოყენებული სტრატეგიები და მიდგომები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საინტერესო თავისებურებებით გამოირჩევა. საარჩევნო პერიოდში კანდიდატები აქტიურად იყენებდნენ ხალხთან, ერთან, ისტორიასთან, კულტურასთან, საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიდგომებსა და თემებს. წინასაარჩევნო პროგრამები და საინაგურაციო მასალები, ისევე როგორც პრეზიდენტების მიერ განხორციელებული ცალკეული პროექტები, საინტერესოა ეთნოლოგიის, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიის, ლინგვისტიკის, პოლიტოლოგიის, სამართალმცოდნეობის და ისტორიის თვალსაზრისით. ამიტომ, ნაშრომის მომზადებისას ძირითადი ყურადღება ექცეოდა როგორც დისციპლინათაშორის მიდგომებს, ისე რეგიონალური თანამშრომლობის შესაძლებლობებს. ავტორების მიერ მომზადებული ნაწილები განხილულია ძალაუფლების, მეხსიერების, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციების და ლინგვისტიკის თეორიული მიდგომების გამოყენებით.

4. „ისტორიისა და კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში“

ნაშრომი, „ისტორიისა და კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში“ – მომზადდა და გამოიცა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

2018 წლის 14 თებერვლის №12 დადგენილებით ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროექტის საფუძველზე.

პროექტი მიზნად ისახავდა ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად ორად გაყოფილი მაჭახლის ხეობის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ისტორიულ-არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ ჭრილში შესწავლას. ამ მიზნით პირველ რიგში მოძიებული და დამუშავებული იქნა მაჭახლის ხეობის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები, ისტორიულ-ეთნოლოგიური ლიტერატურა და შესაბამისი საარქივო მონაცემები, ხეობის ორივე ნაწილში (ზედა და ქვედა მაჭახლის სოფლებში) სამეცნიერო მივლინებების დროს შეკრებილი მასალები.

საგრანტო პროექტის ძირითადი პერსონალის (ისტორიის დოქტორი, პროექტის ხელმძღვანელი, როინ მალაყმაძე; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ კახიძე; არქეოლოგიის დოქტორი – სულხან მამულაძე) მიერ შესწავლილია მაჭახლის ხეობის მოკლე ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, ხეობის ძველი ნასოფლარები და ნასახლარები, საფორტიფიკაციო და საგზაო ნაგებობანი, სავაჭრო-საქარავნო გზები, სამეურნეო დანიშნულების მატერიალური კულტურის ძეგლები, ქრისტიანული პერიოდის ნაგებობათა ნაშთები და სხვ.

მაჭახლის ხეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლები სრულყოფილად დღემდე მეცნიერულად შესწავლილი არ ყოფილა. ზოგიერთ მათგანზე მოგვეპოვებოდა მხოლოდ ზოგადი ცნობები. ამდენად, ნაშრომი მაჭახლის ხეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების შედარებით სრულყოფილად შესწავლის პირველი ცდაა. წიგნი ილუსტრირებულია, რაც დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს ვიზუალურადაც გაეცნოს მაჭახლის ხეობის ისტორიას. ხეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების გაცნობით კი, მკითხველი დარწმუნდება, თუ რა წვლილი შეიტანა ხეობამ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიაში.

მაჭახლის ხეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების კვლევა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს დღეს, რადგანაც ტურიზმის მიმართულებითაც კიდევ უფრო მეტად გაიზარდა ინტერესი ხეობისადმი. შეიქმნა დაცული ტერიტორიები: მაჭახლის ეროვნული პარკი და მაჭახლის დაცული ლანდშაფტი. ამით კიდევ უფრო გაფართოვდა აჭარისა და საერთოდ, საქართველოში დაცული ტერიტორიების მასშტაბები. შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი და დამოკიდებულება დაცული ტერიტორიების მიმართ. ასევე, ხეობის ისტორიისა და კულტურის ძეგლების შესწავლა მნიშვნელოვანია ეთნოსოფლის პროექტის განხორციელებისთვისაც, რომელშიც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებიც იყვნენ ჩართულნი.

### 5. „წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, წიგნი III

კრებულში-„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“, ტომი მესამე-წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში, ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები. კრებული ხუთი კარისაგან შედგება. პირველი კარი ეთმობა ქართველ ლეგიონერთა საქმიანობის ამსახველ საარქივო მასალებს. მეორე კარით ვეცნობით ოფიციალურ და პირად წერილებს. სტამბოლის ქართული სავანის საინტერესო მასალებია მესამე კარში წარმოდგენილი, მეოთხე კარში - სტამბოლის სავანის შთაბეჭდილებათა წიგნი, ხოლო მეხუთე კარში კი - გამოხმაურებანი კრებულზე. კრებულს ერთვის ფოტომასალა.

კრებულში წარმოდგენილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები მცირე ნაწილია იმ სულიერი საგანძურისა, რომელიც დაცულია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივში. კრებული საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის. ის ბევრ ახალ ინფორმაციას მიაწვდის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, თურქეთ-

საქართველოს ურთიერთობის უახლესი ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველ საზოგადოებას.

ბ) სახელმძღვანელო:

| № | ავტორი | სათაური | გამომცემლობა | საერთ. კოდი (ISBN) | გვერდ. რაოდენობა | თანაავტორ(ებ)ი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |

*ანოტაცია*
--------------------

გ) სტატია:

| № | ავტორი | სათაური | გამომცემლობა | საერთ. კოდი (ISBN) | გვერ. რაოდ. | თანაავტორ(ებ)ი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | აბაშიძე ფატი | სამშობლოს ბუნება - რომანტიკოსთა ნავსაყუდარი | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ჩვენი სულიერების ბალავარი", XIII, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა", ბათუმი, 2024 | ISSN 1987-5916 | 9 (12-20) | |
| 2. | აბაშიძე ფატი | საქართველოს ისტორიული წარსული ქართულ ფოლკლორსა და ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში („ძველი დმანისი", „ორი სიზმარი") | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე", ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 8 (154-161) | |
| 3. | ახვლედიანი ნარგიზ, ინაიშვილი ნინო | მთასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელების უძველესი ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, თბილისი, 2024, ტ.18, №2 http://science.org.ge/ | ISSN-0132 - 1447 | 5 (174-178) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | აჭარასა და შავშეთში | bnas/vol-18-2.html | | | |
| 4 | ახვლედიანი ნარგიზ | ბერძნულ-ქართული უძველესი ენობრივ-კულტურული ურთიერთობის რამდენიმე ასპექტისათვის | ჟურნალი ,,ენა და კულტურა’’,№32, გამომცემლობა"მერიდიანი”, თბილისი, 2024 წ. | ISSN 1987-7232<br><br>https://doi.org/10.42340/lac.2024.32.03 | 8<br>(34-41) | ლ. ჩოთალი–შვილი,<br>ნ. ჯორბენაძე,<br>ი. გაგუა. |
| 5. | ახვლედიანი ნარგიზ | ტოპონიმ ურეკის ენობრივ-ისტორიული შესწავლა. | საქართველოს გეოგრაფიული ჟურნალი, ტ.4,№3, გამომცემლობა-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2024. | doi: https://doi.org/10.52340/ggj.2024.04.01.09<br>Google Scolar | 5<br>(75-79). | |
| 6. | ახვლედიანი ნარგიზ | დიდი დედის კულტი და „ნანა“ ძირის ეტიმოლოგია | XLIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესის მასალები, გამომცემლობა-თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 2024. | ISBN 978-9941-451-36-8 | 5<br>(7-11). | ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა, ლელა ჩოთალიშვილი |
| 7. | ბერიძე ცისნამი | არქაული ლექსიკური ერთეულები მერისის ხეობის მეტყველების | კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XXVIII, აკაკი წერეთლის | ISSN 1512-0953<br><br>DOI.org/10.52340/PUTK.2024.28.03 | 5<br>( 34-38) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიხედვით | სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2024 წ. | | | |
| 8. | ბერიძე ცისნამი | მერისის ხეობის ტოპონიმია | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული "ჩვენი სულიერების ბალავარი", XIII, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა", ბათუმი, 2024 | ISSN 1987-5916 | 10 (51-60) | |
| 9. | ბერიძე ცისნამი | მერისის ხეობის მეტყველების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე", ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 10 (270-279) | |
| 10. | ებრალიძე ტარიელ | ბრინჯაოს ყუადაქანებული ცული სოფელ ფურტიოდან | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე", ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 9 | სურმანიძე ნარგიზ |
| 11. | ვარშალომიძე ჯემალ | 1704 წლის ოსმალური დოკუმენტები ბათუმის შემოგარენის შესახებ (ეთნოლოგიური ასპექტები) | აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. ტომი VII, N 2 | ISSN 2587-490X E-ISSN 2720-8168 | 15 (532-546) | |
| 12, | თურმანიძე ოთარ | სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა | „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე", ტომ. 7, №1, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო | ISSN 2587-490X, E-ISSN2720-8168 | 34 (108-141) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | აჭარაში ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების მმართველობის დროს | უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2024 | | | |
| 13. | თურმანიძე ოთარ | ჩაის პირველი ფაბრიკები საქართველოში | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზათა გზაჯვარედინზე“, ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN,2960-9208, E-ISSN 2960-9267 | 11 (84-94) | |
| 14. | კახიძე ნოდარ | უძველესი სამიწათმოქმედო კულტურები აჭარაში (სელი და კანაფი) | აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე. ტომი VII, N1 | ISSN 2587-490X E-ISSN 2720-8168 | 24 (407-430) | |
| 15. | ლომთათიძე თამილა , ნოღაიდელი ნანული | თამაშობათა ეთნოლინგვისტური ასპექტები | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზათა გზაჯვარედინზე“, ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 9 (333-341) | |
| 16. | Malakmadze Roin, Mamuladze Sulkhan | Trade-caravan Roads and Stone Arch Bridges in the Machakheli Gorge | History, Archaeology, Ethnology; Issued by Gori State University; Vol. XII<br><br>http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/592 | ISSN:2449-285X | 10 (155-164) | |
| 17. | მალაყმაძე როინ, მეგრელიშვილი მერაბ | 1929 წლის „მიკროსკოპული ამბოხება“ ზემო აჭარაში | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, XIII, „ბათუმის შოთა | ISSN1987-5916 | 18 (174-191) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2024 | | | |
| 18. | მეგრელიშვილი მერაბ | შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910) | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთ ი ცივილიზათა გზაჯვარედინზე“, ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN,2960-9208, E-ISSN 2960-9267 | 11 (114-124) | ნიკოლოზ მეგრელიშვილი |
| 19. | მეგრელიშვილი მერაბ | მარადიდი | საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, თბილისი, 2024, №2(76) | ISSN 1512-0333, E-ISSN 2960-9828 | 6 (39-44) | იბრაიმ დიდმანიძე |
| 20. | მეგრელიშვილი მერაბ | აჭარის გზები და ხიდები XX 30-იან წლებში | საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“, თბილისი, 2024, №2(76) | ISSN 1512-0333, E-ISSN 2960-9828 | 4 (45-48) | |
| 21. | მიქელაძე ნაილე | ფრინველის (ოქროს მამლის) კულტი ჰერეთის ფოლკორში | კრებ.: ,,კულტურული პარადიგმები“, ფოლკლორის განყოფილება ჟურნალი N IX, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2024 წ. | [http://www.sciencejournals.ge/public/journals/5/pageHeaderLogoImage_en_US.png](http://www.sciencejournals.ge/public/journals/5/pageHeaderLogoImage_en_US.png) | 9 (60-68) | მარიამ პაპიაშვილი |
| 22. | მიქელაძე ნაილე | კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობის დამკვიდრების საკითხისათვის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ფინური მიდგომის გათვალისწინებით | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის კრებული - „შავიზღვისპირეთ ი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, II, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2024 წ. | https://nbi.openjournals.ge/index.php/nbi/issue/view/10.61671/10.61671 | 10 გვ. (425-434) | |
| 23. | მიქელაძე | ტოპონიმ | კრებული “ჩვენი | ISSN 1987-5916. | 12 | ალექსანდრე |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაილე | ,,ანდრიაწმიდას'' ეტიმოლოგიასთა ნ დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის მესხურ ფოლკლორში | სულიერების ბალავარი", XIII, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა", ბათუმი, 2024 | | (192-204) | ბერიძე |
| 24. | ნარაკიძე ციალა | სიტყვის, ენის ძალასა და მნიშვნელობაზე აგებული ანდაზები და იდიომები ლაზურში | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი", XIII, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა", ბათუმი, 2024 წ. | ISSN 1987-5916 | 10 (225-234) | |
| 25. | ნარაკიძე ციალა | გერ-დედინაცვლის სიუჟეტის შემცველი ჯადოსნური ზღაპარი ლაზურ ფოლკლორში | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთ ი ცივილიზათა გზაჯვარედინზე", ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN,2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 8 (262-269) | |
| 26. | ოქროპირიძე უჩა | „თურქი-მესხების" დეპორტაციის წანამძღვრები და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი | „აღმოსავლეთმცო დნეობის მაცნე", ტომ. 7, №1, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა", ბათუმი, 2024 | ISSN 2587-490X, E-ISSN2720-8168 | 30 (142-171) | |
| 27. | ოქროპირიძე უჩა | ქართული პრობლემები ემიგრანტულ გამოცემებში - წარსული და თანამედროვეობა | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი", XIII, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა", | ISSN1987-5916 | 18 (256-273) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ბათუმი, 2024 | | | |
| 28. | ოქროპირიძე უჩა | აჭარა პოსტ საბჭოთა პერიოდში (1990-2023 წლები) | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზათა გზაჯვარედინზე“, ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN,2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 13 (125-137) | |
| 29. | ფუტკარაძე ელზა, მალაყმაძე როინ. | “სამშობლოს სიყვარული გამიჭირდა“ (იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ეპიზოდები) | თურქულ-ქართული ურთიერთობები, ისტორია, კულტურა, ლიტერატურა, ენა, დუზჯე , 2024 . | ISBN : 978-605-06356-4-5 | 8 (409-416). | |
| 30. | ფუტკარაძე ელზა, მალაყმაძე როინ, ლომთათიძე თამილა, ჩელებაძე ნაილა, ჭიჭილეიშვილი მაია. | ეთნიკური იდენტობის ასპექტები დევსქელის ხეობის მოსახლეობის ისტორიულ კულტურულ მეხსიერებაში | საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, თბილისი, 2024, ტ.18, №2<br><br>http://science.org.ge/bnas/vol-18-2.html | ISSN-0132 - 1447 | 6 (174-179) | |
| 31. | ფუტკარაძე ელზა, მალაყმაძე როინ, ჩელებაძე ნაილა. | ეროვნული მეხსიერების დაცვა-გადარჩენის საკითხისათვის ტაო-კლარჯეთში | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N 2(2024), თბილისი, 2024. | Online ISSN 2720-8214, Print ISSN 0132-6058<br><br>http://macne.org.ge/index.php/macne | 12 (50-61) | |
| 32. | ფუტკარაძე ელზა | „ენავ, რწმენავ, მიწავ წულო, ღვთის მორთმეულ-მოკითხულო“ (ემენ დავითაძის ერთი პოემის ტკივილიანი ამონაკვნესი) | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, XIII, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2024 წ. | ISSN 1987-5916 | 11 (339-349). | |
| 33. | ფუტკარაძე ელზა | განძად დასარჩენი | კრებ. აჭარული საუნჯე“, ტ. მე-6, | ISBN 978-9941-488-93-1 | 6 (1-6) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2024 წ. | | | |
| 34. | ფუტკარაძე ელზა, როინ მალაყმაძე | იბრაიმ გორაძე-მწერალი და მთარგმნელი | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზათა გზაჯვარედინზე“, ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN,2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 9გვ. (226-234) | |
| 35. | ჩელებაძე ნაილა | ადრეული გვარე-ულობანი დიდა-ჭარაში (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სა-ველე ეთნოგრა-ფიული ექსპედი-ციის მასალების მიხედვით) | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, XIII, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2024 წ. | ISSN 1987-5916 | 12 (432-443) | |
| 36. | ჩელებაძე ნაილა | გიორგი ჩიტაია ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და ბრძოლის შესახებ | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზათა გზაჯვარედინზე“, ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN,2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 15 (139-153) | |
| 37. | ჩხაიძე ნუგზარ | ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა მიერ საგანმანათლებლო პროცესის შეფასება (სოციოლოგიური ანალიზი) | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, XIII, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, | ISSN 1987-5916 | 29 (444-472) | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ბათუმი, 2024 წ. | | | |
| 38. | ჩხაიძე ნუგზარ | ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი (სოციოლოგიური ანალიზი) | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზათა გზაჯვარედინზე“, ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN 2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 19 (449-467) | |
| 39. | ჩხაიძე ნუგზარ | თანამედროვე ქართულ-თურქული ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი (სოციოლოგიური ანალიზი) | „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, ტომ. 7, №1, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2024 | ISSN 2587-490X E-ISSN 2720-8168 | 13 (448-460) | |
| 40. | ჭიჭილეიშვილი მაია | კონსტრუქტივიზმი XX საუკუნის 20-იანი წლების ბათუმის არქიტექტურაში (საცხოვრებელი სახლების მაგალითზე) | ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „შავიზღვისპირეთი ცივილიზათა გზაჯვარედინზე“, ტ. II, ნაწ. II, ბათუმი, 2024 | ISSN,2960-9208 E-ISSN 2960-9267 | 27 (398-424) | |
| 41. | ჯიბაშვილი ოლეგ | მარკუს სამუელ-უმცროსის გაბედული ბიზნეს-გეგმა – ბათუმიდან სუეცის გავლით შორეული აღმოსავლეთისაკენ | „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, ტომ. 7, №1, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ბათუმი, 2024 | ISSN 2587-490X, E-ISSN2720-8168 | 28 (202-229) | |

*ანოტაცია*

--------------------

1. **სამშობლოს ბუნება - რომანტიკოსთა ნავსაყუდარი**

მეცხრამეტე საუკუნემ თავისი მძიმე დასაწყისით, რაც დამოუკიდებლობის დაკარგვითა და ეროვნული სიამაყის დათრგუნვით აღინიშნა, კიდევ უფრო გამოაფხიზლა და გააძლიერა ეროვნულ ზეპირსიტყვიერებაში გენეტიკურად ჩაბუდებული პატრიოტული მუხტი.

ქართველი ადამიანი ოდითგან განუყოფელია თავისი სამშობლოსგან, რომელიც მისი ხასიათს ჩამომყალიბებელი და ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია. სწორედ ამიტომ, როგორც რომანტიკოსები, ისე სახალხო მთქმელები ხშირად მიმართავენ ბუნებას, რომლის წიაღშიც მოიპოვებენ მყუდრო ნავსაყუდელს მათი მწუხარე და უიმედო

სულისათვის. სტატიაში განხილულია ქართველ რომანტიკოსთა სიახლოვე ეროვნული ფოლკლორის სამყაროსთან, ხალხური მეტყველების მდიდარი მარაგიდან ამოღებული სახეები, გამონათქვამები, სიტყვები ამდიდრებს მათ პოეტურ შთაგონებას.

2. საქართველოს ისტორიული წარსული ქართულ ფოლკლორსა და ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში („ძველი დმანისი“, „ორი სიზმარი“)

სტატიაში განხილულია ქართველი რომანტიკოსის - ვახტანგ ორბელიანის ლექსების „ძველი დმანისი“ და „ორი სიზმარი“ ქართულ ფოლკლორთან ურთიერთმიმართების პრობლემა. პოეტის ამ ლექსებში დიდი ინტერესია გამოხატული სამშობლოს ისტორიული წარსულისადმი ისევე, როგორც ხალხურ პოეზიაში, სადაც კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული; პოეტი შენატრის სამშობლოს გარდასულ დიდებას და დამწუხრებულია არსებული რეალობით, რაც ნათლად ჩანს საანალიზო ლექსებში.

3. „მთასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელების უძველესი ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხისათვის აჭარასა და შავშეთში“

ნაშრომში განხილულია ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებები, რომლებიც ასახავს კონკრეტული რეგიონის ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობების თავისებურებებს. ტოპონიმია უაღრესად დიდ თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს მეცნიერების სხვადასხვა სფეროების: არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, ისტორიის, ენის ისტორიისა თუ სხვა დარგების კვლევა-ძიებისთვის. ტოპონიმებს მკვლევრები მიმართავენ და იყენებენ, როგორც წარსულის ფასდაუდებელ მოწმეს, რომელთა შესახებ წერილობითი ან სხვა სახის მონაცემები არ მოგვეპოვება. ნაშრომის მთავარი იდეა არის საკვლევი ობიექტების წარმოჩენა და გაანალიზება ორი განსხვავებული თვალთახედვით: ლინგვისტიკისა და არქეოლოგიის ერთობლივი კვლევის ჭრილში. ამგვარი ურთიერთმიმართებითი შესწავლა მოტივირებულია მისი ინტერდისციპლინური კუთხით გაშუქების მცდელობით. ნაშრომში წარმოდგენილია მთასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელწოდებები, მოცემულია გეოგრაფიული არეალის დახასიათება, კრიტიკულადაა განხილული ზოგიერთი მათგანის შესახებ აქამდე არსებული სამეცნიერო გამოკვლევები. ამასთანავე, ტოპონიმების ლინგვისტურ ანალიზთან ერთად, სათანადო ექსტრალინგვისტური მეთოდის გამოყენებით, გამოთქმულია მოსაზრებები ორონიმთა სახელდების მოტივაციასთან დაკავშირებით.

4. ბერძნულ-ქართული უძველესი ენობრივ-კულტურული ურთიერთობის რამდენიმე ასპექტისათვის

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მეცნიერული მნიშვნელობა გააჩნია ბერძენ მწერალთა ცნობებს საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლისათვის. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ისტორიულ - კულტურული მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით, ძველ ქართულ სამყაროშიც უსათუოდ არსებობდა ქალღვთაების კულტი.

5. ტოპონიმ ურეკის ენობრივ-ისტორიული შესწავლა

ამ ნაშრომში წარმოგიდგენთ ტოპონიმის ენობრივ ანალიზს ისტორიული შედარებითი მეთოდის გამოყენებით. გთავაზობთ ტოპონიმ „ურეკის“ ლინგვო-ისტორიული კვლევის ინტერპრეტაციას ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

6. დიდი დედის კულტი და „ნანა“ ძირის ეტიმოლოგია

როგორც ცნობილია, მთელ მედიტერანულ სამყაროში უპირატესობა ქალურ საწყისს ენიჭებოდა. ფართოდ იყო გავრცელებული ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ქალღმერთის, „ღმერთების დედის“, „დიდი დედის“ თაყვანისცემის კულტი. ნაშრომში ნან

ძირი დედის აღმნიშვნელ სახელად გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც. აღნიშნული ფუძის მნიშვნელობა ვარირებს („დედა“, „ბავშვი“, „ბებია“, „დიდედა“, „დედულეთი“...) მაგრამ საერთო, დამაკავშირებელი, ძირეული შინაარსი უცვლელია – ეს არის ქალური საწყისი.

7. არქაული ლექსიკური ერთეულები მერისის ხეობის მეტყველების მიხედვით

წარმოდგენილ სტატიაში გაანალიზებულია მერისის ხეობაში დადასტურებული არქაული ლექსიკური ერთეულები როგორც ფორმობრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით. კვლევისას ვეყრდნობით ემპირიულ მასალას, რომელიც ჩავიწერეთ ზემო აჭარის ერთ-ერთი ხეობაში, მერისში. ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ აქაური მეტყველება მრავალფეროვანია ფონეტიკური თუ გრამატიკული თავისებურებებით. ხეობის ლინგვისტური პორტრეტისათვის საინტერესოა ლექსიკური მხარეც. მერისის ხეობის მეტყველებაში მრავლად გვხვდება არქაული ქართული გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები. სიტყვათა ნაწილი იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, ნაწილი კი მეტ-ნაკლებად შეცვლილი სემანტიკით დასტურდება. გამოვლინდა ისეთი სიტყვებიც, რომლებიც ზემო აწარის სხვა ხეობაში არ გვხვდება.

8. მერისის ხეობის ტოპონიმია

ნაშრომში საუბარია ზემო აჭარის ერთ-ერთი ხეობის, მერისის, ტოპონიმიის შესახებ. აქაურ მკვიდრთა ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ხეობა მრავალფეროვანია ტოპონიმებით. კვლევა ემყარება ძირითადად ჩემ მიერ ჩაწერილ მასალას. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზემო აჭარის ტოპონიმიის მსგავსად მერისის ხეობის ტოპონიმიაც წარმოების თვალსაზრისით სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: მარტივ, აფიქსურ და რთულ, რითიც მიჰყვება ქართულ ტოპონიმთა წარმოების საერთო წესს.

მერისის ხეობაში გვხვდება: მარტივფუძიანი (კალო, თეფე, ბაგა, ახო, ჭალა, ლაშე...); პრეფიქსებით ნაწარმოები (ნა-კაფი, ნა-ფხეკი, სა-ყენი, სა-სვენი, სა-ხადი...); სუფიქსური წარმოების (ბალარ-ა, ჩიდილ-ა, ბლესინ-ა, ობოლ-ა, ბუჯგ-ა, ღომ-ა, უნაგირ-ა, კიბონალ-ა ბალლარ-ა, ვარაზ-ა, რუპირ-ა, კარლიკა-ია, ძოვრ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, ბოყვ-ათ-ი, ჭალ-ათ-ი, ქედ-ობ-ა, კორნ-ალ-ი, სურნ-ალ-ი, ბაბა-ურ-ი, სადინა-ურ-ი...); პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები (სა-ყან-ე, სა-ტალახ-ე, სა-კანაფ-ე, სა-რისტ-ო, სა-სადილ-ო, ნა-ხნ-ულ-ი, ნა-პირვ-ალ-ა, ნალაშქრევი...) ტოპონიმები და აგრეთვე, რთული სახელები (მერიახევი, ბლიძირი, ჩხერითავი, რუთავი, შავშიყანა, მაღლაყანა, საქორიტყე, ლეკთაღელე, ორპირი, ახომინდორი, წყალშაქარა...).

9. მერისის ხეობის მეტყველების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება

აჭარული დიალექტი ზემო აჭარის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი და უძველესი კილოა, იგი აჭარის მკვიდრთა მეტყველებაა. მან გარკვეული როლი შეასრულა სამწერლებო ენის განვითარებაში. მისი ენათმეცნიერული შესწავლა მნიშვნელოვანი და აქტუალურია. აჭარული დიალექტის შესწავლას ბევრი შრომა თუ კვლევა მიეძღვნა, მაგრამ დიალექტი სრულყოფილად მაინც არ არის შესწავლილი. აჭარული დიალექტის სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია მისი შესწავლა ლოკალურად, ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით. ამგვარად ჩაწერილი მასალა უფრო მეტ საანალიზო ფორმას გამოავლენს. ამ მიმართებით კვლევა ბუნებრივია, აქტუალური, საშური და სიახლის შემცველია, რაც საშუალებას მოგვცემს დიალექტი შევისწავლოთ უფრო კონკრეტულად, დეტალურად და სიღრმისეულად. ამ მიზნით საკვლევად ავიღეთ ზემოაჭარის ერთ-ერთი ისტორიული ხეობა-მერისი. ნაშრომში, „მერისის ხეობის ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება“, საუბარია ზემო აჭარის ერთ-ერთ ისტორიულად გამორჩეული ხეობის-მერისის მეტყველების ზოგიერთ ფონეტიკურ თავისებურებაზე. ძირითადად განხილულია ბგერის დაყრუების,

ბგერის დაკარგვის, ბგერის გაჩენის, სრულხმოვნობის, ასიმილაციის, დისიმილაციის თავისებურებები.

10. ბრინჯაოს ყუადაქანებული ცული სოფელ ფურტიოდან

ადრებრინჯაოს ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ აჭარის ისტორიისა და ნივთიერი კულტურის კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს შემთხვევითი მონაპოვრები წარმოადგენს. მათ შორისაა 2012 წელს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ყუადაქანებული ცული.

ფურტიოს ცულს ყველაზე ახლო ანალოგი ეძებნება სოფელ ღორჯომის (ნაომარის) ცულთან (ხულოს რაიონი, ზემო აჭარა,). გარკვეულ მსგავსებას ვხედავთ სოფელ ილუმისა და ბორის საზღვარზე (ხარაგაული რაიონი, იმერეთი), საზანოსა და სეირიში (თერჯოლის რაიონი, იმერეთი) შემთხვევით აღმოჩენილ ცულებთან. გვხვდება ეშერის ერთ-ერთ დოლმენშიც. აღმოსავლეთ საქართველოში - მეჯვრისხევსა და ყიზილ-აჯლოში. ჩრდილოეთ კავკასიაში - ოსეთისა და კორცას მასალებში. აღმოჩენილია სოჭსა და ყუბანში.

აღიარებულია, რომ ყუადაქანებული და ყუამილიანი ცულები წინააზიაში ჩაისახა. აქედან გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში. გავრცელების გზაზე ადგილობრივი მელითონეები ფორმების დახვეწის, ახალი ტექნიკური სიახლეების დანერგვით ქმნიდნენ ლიოკალურ ვარიანტებს. მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ცულების კავკასიური ვარიანტი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში, ევროპასა და დუნაისპირეთში იწყებს გავრცელებას.

აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფურტიოსა და ნაომარის ცულები სატარეზე შემოვლებული რელიეფური წიბურებით განასხვავდება ზემოთ დასახელებული ცულებისაგან და ასაკით ოდნავ გვიანდელია.

კლასიფიკაციის მიხედვით ფურტიოს ცულს ჩვენ ყველაზე ახლო პარალელების გათვალისწინებით ყუამოკლე-ყუადაქანებული ცულების II ჯგუფში ვაერთიანებთ და ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრით ვათარიღებთ.

11. 1704 წლის ოსმალური დოკუმენტები ბათუმის შემოგარენის შესახებ (ეთნოლოგიური ასპექტები)

XVIII ს-ის I მეოთხედის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესწავლისათვის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გადასახადების აკრეფის მიზნით შედგენილი ოსმალური დავთრები. აჭარის ტერიტორიაზე მარცვლეული კულტურების მოყვანასთან დაკავშირებით მეტად ღირებულია აღნიშნულ დავთრებში - ,,ბათუმის ლივის ვრცელ დავთარსა“ და ,,ბათუმის ლივის მოკლე დავთარში“ მოცემული ცნობები. პირველი დოკუმენტი 1704 წლით თარიღდება ხოლო მეორეში სხვადასხვა პერიოდის ჩანაწერებს ვხვდებით. დოკუმენტების მიხედვით ბათუმის ლივა მოიცავს დღევანდელი ქალაქის ტერიტორიას თავის შემოგარენით და ვრცელდება ჭოროხის ხეობის აყოლებაზე ბორჩხისა და სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე ლაზისტანში. დოკუმენტში ჩამოთვლილია სოფლები სხვადასხვა გადასახადებით, მაგალითად, ღომზე, სიმინდზე და სხვა. ჩვენი კვლევის მიზანია დავთარში აღწერილი ცნობების შესწავლა ეთნოლოგიური ასპექტით. მარცვლეულ კულტურებს ქართველების განსახლების ტერიტორიაზე წარსულში ფართო არეალი ეკავა. მისი გავრცელების შესახებ საგულისხმო ცნობებია მოცემული ძველ ქართულ წყაროებში, საქართველოში მყოფი უცხოელი მოგზაურებისა და მეცნიერების ჩანაწერებში, XVI ს-ის დამლევსა და XVII-XVIII სს-ში საქართველოს საეკლესიო და სამონასტრო ბეგარის ნუსხებში. ოსმალურ წყაროების მიხედვით, აჭარაში ღომის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული სამეურნეო ცხოვრებაში სიმინდის შემოსვლამდე და შემდეგაც, იგი მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი საკვები მარცვლეულია. ნაშრომში თავმოყრილია ღომის მოყვანა-დამუშავება, ჯიშების,

კულინარიაში, რიტუალებში გამოყენების შესახებ ეთნოგრაფიული ცნობები, შეჯერებულია ტოპოგრაფიულ და არქეოლოგიურ მონაცემებთან.

12. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობა აჭარაში ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიების მმართველობის დროს

ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები აჭარაში იმერეთიდან, კერძოდ, არგვეთის საერისთავოდან ჩამოსახლდნენ XVI საუკუნეში. აჭარა მაშინ ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. აბაშიძეები აქ გამუსლიმანდნენ და ოსმალეთის სახელმწიფოს სამსახურში ჩადგნენ. ოსმალეთის სულთანმა მათ ადგილ-მამულები უბოძა და ლაზისტანის სანჯაყის ბეგის წოდებაც მიანიჭა.

აბაშიძეები აჭარაში მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ. სტატიაში განხილულია ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების მიწათმფლობელობა-მიწათსარგებლობის საკითხები. ოსმალეთში აგრარული რეფორმის (თანზიმათი) განხორციელების შემდეგ აღაბეგებს ადგილ-მამულები კერძო საკუთრებაში აღარ ჰქონდათ. სანაცვლოდ მათ სამემკვიდრო პენსიები დაუნიშნეს, მაგრამ აბაშიძეებს, როგორც ოსმალეთის იმპერიის დანარჩენ აღა-ბეგებს, ადგილ-მამულები დარჩათ მფლობელობა-სარგებლობის უფლებით.

ოსმალეთის ხელისუფლების დროს განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ბრძოლა ადგილ-მამულების თაობაზე სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივ მიწათმფლობელებს შორის. ეს ბრძოლა გაგრძელდა რუსეთის ბატონობის დროსაც. ამ პერიოდში ბათუმელმა სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებმა დაიწყეს ადგილ-მამულების მასობრივი გაყიდვა. ისინი ეწეოდნენ აგრეთვე მიწების დაგირავებასა და იჯარით გაცემას. აქედან მიღებული ნატურალური თუ ფულადი შემოსავალი მათი არსებობის ძირითადი წყარო იყო. სტატიაში განხილულია ბათუმელი სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების საადგილმამულო უფლებრივი მდგომარეობა. ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ საბჭოთა რეჟიმის დროს მან მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ჩაგვრა განიცადეს.

13. ჩაის პირველი ფაბრიკები საქართველოში

საქართველოში ჩაის მეურნეობა და ჩაის მრეწველობა ეკონომიკის არატრადიციულ დარგს წარმოადგენდა. მისი განვითარება XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება და საბჭოთა ხელისუფლების დასასრულამდე გაგრძელდა. იგი საქართველოს ეკონომიკის წამყვან დარგად იქცა. საქართველოში ჩაის პირველი ფაბრიკები გასაბჭოებამდე მოეწყო. მათი მშენებლობა განპირობებული იყო ჩაის კულტურის დანერგვა-გავრცელებით, ნედლეულის წარმოების გადიდებით.

მეჩაიეობისა და ჩაის მრეწველობის განვითარებით კერძო მეწარმეებთან ერთად, რუსეთის ხელისუფლებაც დაინტერესდა. ამ საქმის დამწყებნი იყვნენ სოლოვცოვი, პოპოვი, ნაკაშიძე, (სახელთა ინიციალები მაინც დავწეროთ) რუსეთის საუფლისწულო უწყება და სხვები. მათ გააშენეს ჩაის პლანტაციები, ააგეს ჩაის პირ-ველი ფაბრიკები. ჩაის გადამამუშავებელი პირველი საწარმო სოლოვცოვმა ააგო ჩაქვის ხეობის სოფელ ბუკნარში. პოპოვის ჩაის ფაბრიკა სალიბაურში მდებარეობდა, რომელიც ექსპლოატაციაში 1898 წელს შევიდა. ჩაქვის საუფლისწულო მამულის ჩაის

ფაბრიკა 1899 წელს ამოქმედდა.

მომდევნო წლებში მათ შეემატა სინიცინის, ვერდერევსკის, დიადიუშას, ნაკაშიძის (აქაც ისევე) ჩაის ფაბრიკები, სახაზინო ფაბრიკა ოზურგეთის მაზრის სოფელ ზვანაში. ამრიგად, საქართველოში პირველი მსოფლიო ომის წინ ჩაის 8 ფაბრიკა მუშაობდა. მათგან 6 იყო აჭარაში, ხოლო 2 გურიაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაის ფაბრიკების ნაციონალი-ზაცია განხორციელდა. ჩაის წვრილი საწარმოები დაიხურა, ხოლო საშუალო და მსხვილი ფაბრიკები სახელმწიფოს საკუთრებად გამოცხადდა.

14. უძველესი სამიწათმოქმედო კულტურები აჭარაში (სელი და კანაფი)

აჭარის ეთნოგრაფიული მასალებისა და შესადარებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ სელი და კანაფი ის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურებია აჭარაში, რომლის ბოჭკოს ნართისგან სხვადასხვა დანიშნულების ნაწარმი მზადდებოდა. სელის თესლისგან კი, რომელსაც ქუმელი ეწოდებოდა, მზადდებოდა ზეთი, რომელიც გამოიყენებოდა როგორც საჭმელად, ისე გასანათებელ საშუალებად. მაჭახლის ხეობის მაგალითზე დადგენილია გასათხოვარი ქალის როლზე სელისა და კანაფის ბოჭკოსგან ნართისა და სხვადასხვა ქსოვილების დამზადებაში, რასაც ერთ-ერთი მთავარი ყურადღება ექცეოდა მის სარძლოდ დანიშვნასა და გათხოვებაში.

## 15. თამაშობათა ეთნოლინგვისტური ასპექტები

სტატიაში განხილულია თამაში, როგორც ადამიანის აქტივობის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს მრავალფეროვან ტრადიციულ სოციო-კულტურულ პრაქტიკაში. მოცემულია თამაშის, როგორც კულტურის ფენომენის თეორიული გააზრება, ასევე, ეთნოკულტურაში მისი ადგილი და როლი, თამაშის მნიშვნელობის სხვადასხვა რაკურსი აჭარის მოსახლეობის ტრადიციულ ყოფასთან კონტექსტში. მიმოხილულია თამაშები, რომლებიც რიტუალური პრაქტიკის საწყის საფეხურებზე წარმოიშვა და ასახავს მოსახლეობის მითოსურ აზროვნებას და რწმენა-წარმოდგენებს. შესწავლილია თამაშების თანმხლები ლინგვისტური მასალა, რომელიც უძველეს საწესჩვეულებო ტრადიციებს უკავშირდება და, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად, თამაშობათა გენეზისის შესწავლის საშუალებას იძლევა.

## 16. Trade-caravan Roads and Stone Arch Bridges in the Machakheli Gorge

საქართველოში გზებსა და ხიდებს, როგორც საკომუნიკაციო საშუალებებს, მოსახლეობისთვის ძველთაგანვე არსებითი, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მრავალრიცხოვანი ფაქტიური მასალისა და დღემდე კარგად შემონახული და დაზიანებული სახით მოღწეული მატერიალური კულტურის ამ ნიმუშების მიხედვით, ჩვენს თვალწინ იშლება ნათელი სურათი იმ მძლავრი და მოწესრიგებული საგზაო-სახიდე მშენებლობისა, რომელიც ფართოდ იყო განვითარებული საქართველოში. მთიანმა რელიეფმა ხიდების მშენებლობის შესაბამისი ხერხიც განსაზღვრა. მათთვის ირჩევდნენ ვიწრო და ადვილად მისადგომ ადგილებს.

აჭარაში ქვის თაღიანი ხიდების მშენებლობა IX-X საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო. ამ დროისათვის იგი, როგორც „ქართველთა სამეფოს“ ერთ-ერთი საერისთავო, უშუალოდ მონაწილეობს იმ ისტორიულ პროცესებში, რომელიც მიმდინარეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მათ შორის არტანუჯში. აჭარაში აგებული ხიდების დიდი უმრავლესობა სწორედ იმ გზებზეა განლაგებული, რომელიც ისტორიული სამცხე-ჯავახეთის, შავშეთ-იმიერხევისა, თუ არტანუჯისაკენ მიემართებოდა. ამ მხრივ, ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მაჭახლის ხეობაში არსებული თაღიანი ხიდები, რომელთა დიდმა ნაწილმა პირვანდელი სახით ჩვენამდე მოაღწია.

მაჭახლის ხეობაზე გამავალი საქარავნო გზა უერთდებოდა მდინარე ჭოროხის მიმართულებით ზღვისპირეთისკენ მიმავალ ცენტრალურ გზას. აღსანიშნავია ისიც, რომ მაჭახლის ხეობაში კლარჯეთისკენ მიმავალი გზა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთია ჭოროხის აუზის ძველ გზათა სისტემაში. ამაზე ნათლად მიუთითებს ამ გზაზე არსებული ქვის თაღიანი ხიდების მრავლად არსებობა.

ნაშრომში სწორედ მდინარე მაჭახელსა და მის შენაკადებზე (როგორც საქართველოს, ისე თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე) აგებული ქვის თაღიანი ხიდებია წარმოდგენილი, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე თავდაპირველი სახით მოაღწია.

## 17. 1929 წლის „მიკროსკოპული ამბოხება“ ზემო აჭარაში

1929 წელს ხულოში მიმდინარე არსებული მოვლენების შესახებ ისტორიული ხასიათის ნაშრომებში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კლასობრივ ბრძოლებსა და შეიარაღებული გამოსვლების მიმდინარეობაზე. აღნიშნულ სტატიაში
ჩვენ შევეცადეთ ყურადღება გადაგვეტანა აჭარის მოსახლეობაში არსებულ სოციალური ხასიათის დაპირისპირებებსა და იმ მიზეზებზე, რამაც განაპირობა 1929 წლის აჯანყება. ასევე ნაშრომში გადმოცემულია აჯანყების დასრულების შემდგომ განვითარებული მოვლენები და მისი შედეგები. 1929 წლის 3 მარტს ხულოს მაზრაში ჩატარებულ თათბირზე შეიარაღებული გამოსვლის მთავარ მიზეზად დასახელდა მოსახლეობის ფენებად დაყოფა და ღარიბი მასის გამოყოფა. სინამდვილეში მთელი რიგი გადასახადები დააწვა მათ მიერ აღიარებულ „ღონიერ და შეძლებულ გლეხებს“. კულაკების პოლიტიკური და ეკონომიკური განადგურების შემდეგ, მათ მოუხდათ გადასახადების გაზრდა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც უკმაყოფილო პირების დამოკიდებულება ხელისუფლებასთან. იყო შემთხვევები, როცა ხელისუფლების შავ სიაში პიროვნული ჟინიანობის გამო ხვდებოდენ სრულიად უდანაშაულო და სანდო ხალხი. მიზეზებს შორის დასახელდა მოსახლეობის დაშინება, მედრესეების გარყვნილების ბუდედ გამოცხადება, ხელისუფლების მიერ ძალაუფლების გადამეტება, ჩადრის ახდის და მედრესეების დახურვის შესახებ დირექტივების მიღებამდე და მიღების შემდეგ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი კამპანიის არ ჩატარება. 1929 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო მუსლიმი თემის წინააღდეგ განავითარა შეუპოვარი ბრძოლა, არამედ საერთოდ რელიგიის წინააღდმეგ, საბჭოური ყოფითი ცხოვრების წესების და ახალი სოციალისტური ერის დასამკვიდრებლად, რომლის მთავარი რელიგია და ღმერთი იყო მარქსიზმ-ლენინიზმი.

## 18. შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910)

1853-1856 წწ. ყირიმის ომის შემდეგ შავი ზღვის ქობულეთის სანაპიროს განსაკუთრებული სამხედრო სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. წმინდა ნიკოლოზის ფორფოსტი მოიცავდა ტერიტორიას ნატანების შესართავთან, სადაც მდებარეობდა შეკვეთილის ნავმისადგომი. პროფესორი თამაზ ბერაძე ციხე-სიმაგრის დაარსების თარიღად ასახელებს 1737 წელს. XIX საუკუნის დასაწყისის დასავლეთ საქართველოს რუკაზე აღნიშნულია წმინდა ნიკოლოზის ციხე-სიმაგრე. რუსეთის მეფე ნიკოლოზის საპატივცემულოდ მას მოიხსენიებდნენ ნიკოლაევსკის სახელითაც. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა ქვიშის ბორცვზე მდებარე საბაჟო საგუშაგოს, სადაც განთავსებული იყო საკარანტინო ზონა, პროვიანტის მაღაზია და ყაზარმა 30-მდე გუშაგისთვის.1788-1792 წლებში სიმონ მესამე გურიელის ნებით შეკვეთილში მებაჟეობის უფლებით სარგებლობდნენ თავადი ნაკაშიძეები. 1812 წელს ბუქარესტის ზავის მიხედვით შეკვეთილი რუსებმა დაიკავეს და აქ დამტკიცდა რუსეთ- თურქეთის საზღვარი.1813წელს საქართველოს მთავარმმართებელ ნიკოლოზ რტიშჩევის ნებით გურიელმა განავითარა წმინდა ნიკოლოზის სიმაგრის მშენებლობა.

1856 წლიდან დაარსებულ შავი ზღვის ნიკოლოზის საბაჟოს ძირითად მოვალეობას შეადგენდა საზღვრის მეთვალყურეობა და კონტროლის დაწესება შემოტანილ საქონელზე. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო-საგუშაგო ექვემდებარებოდა ფოთის საკარანტინო-საბაჟო კანტორას, რომელიც შედიოდა ქუთაისის საბაჟო ოკრუგში. ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიაში საბაჟოს საქმეს ხელმძღვანელობას უწევდა საბაჟო-საკარანტინო სამმართველო, რომლის რეზიდენცია თბილისში იყო. თავდაპირველად წმინდა ნიკოლოზის საბაჟო მდებარეობდა გურია-აჭარის საზღვარზე. 1878 წლის შემდეგ საბაჟო-საგუშაგო გადაიტანეს ჩურუქსუს მიდამოებში. ამავე დროს ბათუმში დაფუძნდა საბაჟო საკარანტინო ზედამხედველობა, რომელიც მეთვალყურეობას უწევდა ბათუმის პორტში არსებულ გემებს, შემდეგ წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გადადის მაკრიალთან, თურქეთის საზღვართან ახლოს. ნიკოლოაევსკის საგუშაგოს სასაზღვრო სოფლები იყო: ხოფა, არხავი, ვიწე. თურქეთიდან ქობულეთში შემოდიოდა იალქნიანი გემები.

1865 წლის 25 აგვისტოს რუსეთის საზღვაო საქმეთა სამინისტრომ (პეტროგრადი,მინისტრი ნ.კრაბე) დაამტკიცა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული მეთვალყურე გემების მოქმედების წესები. სანაპიროს მეთვალყურეობა დაწესებული ჰქონდათ აზოვის ბარკასებს, რომლებიც სანაპიროს გასწვრივ აწარმოებდნენ სწრაფ რეისებს. კომერციულ გემებს უნდა გაევლოთ საკარანტინო ზონა. დაწესდა კონტროლი კონსტანტინეპოლსა და სოხუმს შორის მოცურავე გემებზე. კონტროლი ძირითადად წარმოებდა საკარანტინო ზონაში, სადაც შესამოწმებლად მოჰყავდათ ღია ზღვაში დაკავებული გემები. უცხო გემებიდან ჩამორთმეული საქონელი ერთი წლის განმავლობაში ინახებოდა საბაჟოს საწყობებში, ხოლო შემდე კი ხდებოდა მათი კონსფისკაცია. 1857 წლის 23 ივლისს აკრძალეს მუხის ხის გატანა.

სავაჭრო საქონელი ძირითადათ შემოდიოდა ფოთიდან, ოჩამჩირიდან, ქერჩიდან, როსტოვიდან, რედუტ-კალედან, ევპატორიიდან. შემოქონდათ ევროპული ფუფუნების საგნები, პარფიუმერია, სარკე, საათები. 1857 წელს საბაჟოს ტერიტორიაზე შემოტანილ საგნებს შორის დასახელებულია თევზის სხვადასხვა სახეობა: სელდი, ოლოვა, ასევე თამბაქო, ბოსტნეული, ხილი, ფქვილი, ფასოლი, ხალვა, ცხვრის შალი, საღებავები, ლითონი. რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყო აზიურ შალზე, რითაც მარაგდებოდნენ მოსკოვის საწარმოები. აზიური შალისგან ევროპაში კერავდნენ საუკეთესო ტანსაცმელს.

1866 წლის 31 მაისს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბალუევმა დაამტკიცა საკარანტინო საბაჟოს ინსტრუქცია, რომელშიც მინიშნებულია საბაჟოს წევრთა საქმიანობა და მათი უფლება-მოვალეობანი. განსაკუთრებული აკრძალვები იყო დაწესებული კონსტანტინეპოლიდან გადმოსული რელიგიის მსახურთა მიმართ. მათი ვიზირება ხდებოდა რუსეთის სინოდის ნებართვით.

1878 წლის 19 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და 1886 წლის 19 მაისის აზიური დეპარტამენტის გადაწყვეტილებით საბაჟოს განსაკუთრებული კონტროლი ჰქონდა დაწესებული იარაღის, ქაღალდის და შალის შემოტანაზე. უცხოეთიდან შემოსულ გემებზე სხვადასხვა დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით წარმოებდა სამედიცინო შემოწმება. 1910 წლის 8 ივლისს რუსეთის ფინანსთა მინისტრის საფუძველზე შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო გაუქმდა და გამოცხადდა ჩურუქსუს საბაჟო გადასასვლელ პუნქტად.1918 წლიდან შეკვეთილში დასახლდნენ რუსი ძველმართლმადიდებლები.1920 წელს შეკვეთილის ციხე დაანგრიეს.

## 19. მარადიდი

მარადიდი საქართველოს საზღვრისპირა, მთებით გარშემორტყმულ ნაოსნობის უძველეს კერას წარმოადგემნს. მარადიდის, როგორც ნავმშენებლობის ტრადიციის მქონე მხარის შესახებ ნიკო მარი მიანიშნებს ნაშრომში ,,მოგზაურობიდან თურქეთის ლაზეთში“.

ყარსის ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთიდან მომავალი მენავეები თავისუფლად მგზავრობდნენ და ეზიდებოდნენ ტვირთს კაპანდიბამდე და თვით ბათომამდეც კი.მარადიდის მცხოვრებნი, პროფესიონალი მენავეები, ალი დიდმანიძე, ილია დიასამიძე, ცნობილნი იყვნენ,როგორც ბრტყელძირა ნავების მშენებელი ოსტატები მარადიდი ბუნებრივი, სამკურნალო წყლებით მდიდარი სოფელია. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში აჭარის ოლქის ექიმმა ჟილინსკიმ გონიის მაზრის სოფელ მარადიდში აღმოაჩინა მჟავე წყალი, რომელიც მიწიდან ამოდიოდა ცერის სიმსხოდ და იგი ზელცერის წყლებს არ ჩამოუარდებოდა. 1884 წელს სოფელ მარადიდში იხსნება პირველი დაწყებითი სკოლა. 1918 წლის 22 იანვარს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ბათუმში გააგზავნა დელეგაცია,რომელსაც სოფელ მარადიდში უნდა გაეხსნა საოსტატო სემინარია,ამავე დელეგაციამ დაათვალიერა სოფელ მარადიდის ქალაქთა კავშირის საავადმყოფო.1926-1929 წლებში აჭარაში გაიყვანეს ახალი გზები, მათ შორის მარადიდი-კირნათის საავტომობილო გზა. მარადიდში გაშენებული არის ჩაის, თამბაქოს, სიმინდის, ყურძნის,, დაფნის და სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურები. განსაკუთრებული

მნიშვნელობის იყო მეოცე საუკუნის 40-იან წლებში მარადიდში გაშენებული კანაფის კულტურა. სოფელ მარადიდს მდიდარი შრომითი და საბრძოლო ტრადიციები გააჩნია.სტატიაში საარქივო დიკუმენტური მასალის საფუძველზე წარმოჩენილია ერთი სოფლის ისტორია.

20. აჭარის გზები და ხიდები XX საუკუნის 30-იან წლებში

ევროპულ ქვეყნებს, რუსეთს თუ თურქეთს ბათუმი სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით აინტერესებდა, რომელზეც გადიოდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი გზები, კერძოდ: ბათუმი-ახალციხე, ბათუმი-ყარსი-ერევანი, ბათუმი-ართვინი-არტაანი, ბათუმი-თბილისი. ბათუმის მეშვეობით რუსეთი უზრუნველყოფდა სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უშიშროებას, ხოლო კოდორის გზით ამყარებდა გავლენას აფხაზეთზე და კონტროლს შავ ზღვაზე. XIX-XX საუკუნემდე აჭარაში არსებული გზები მოუწესრიგებელი იყო. ძირითადი ყურადღება ექცეოდა სამხედრო გზას, კერძოდ, ბათუმი-ახალციხის, არდაგანი-ყარსის და გურიასთან დამაკავშირებელ ბათუმი-ქობულეთის გზას. გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე საბჭოთა პერიოდში აჭარაში გზების მოწესრიგებას დიდი ყურადღება დაეთმო.

21. ფრინველის (ოქროს მამლის) კულტი ჰერეთის ფოლკორში

წარმოდგენილი სტატიის მსჯელობის საგანს ჰერეთის ფოლკორში შემონახული თქმულება-გადმოცემები წარმოადგენს, რომლებიც საინტერესო და ღირებულია ზოგადქართული ზეპირსიტყვიერების გაანალიზება-შესწავლის საქმეში. ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საინგილოშიც ქრისტიან წმინდანთაგან, წმინდა გიორგი ყველაზე დიდი წმინდანია. ჰერელების ლეგენდების, თქმულება-გადმოცემების გარკვეული ნაწილი წმ. გიორგის სასწაულთმოქმედებას ეხება, რაზედაც ამ ნაშრომში იქნება საუბარი.

სტატიის ძირითად ნაწილში წარმოდგენია მსჯელობა ჰერეთში შემონახულ ზეპირსიტყვიერ მასალებზე, რომლებიც კონტამინირებულია წარმართულ-ქრისტიანულ-მუსლიმურ წესებთან. ამ მხრივ კი ნიშანდობლივია, მამლის კულტთან დაკავშირებული საკითხები ჰერეთის ზეპირსიტყვიერებაში.

აღნიშნული მასალა ჰერეთში შემონახულ გადმოცემებს ეხება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ისტორიული ჰერეთის თემატიკა ინტერესმოკლებული არ იქნება ფართო წრის საზოგადოებისათვის, მკვლევართათვის.

22. კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობის დამკვიდრების საკითხისათვის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ფინური მიდგომის გათვალისწინებით

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ინოვაციურ ხერხებსა და მიდგომებზე, რომელთაც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები მიმართავენ. გლობალიზაციამ, ტექნიკის განვითარებამ მსოფლიო უდიდესი გამოწვევების წინაშე დააყენა. თანამედროვე ხედვამ გარკვეულწილად შეცვალა სოციუმის, მოზარდის დამოკიდებულება რიგი საკითხებისადმი. თითოეული ქვეყანა მაქსიმუმს აკეთებს, ცდილობს ფეხი აუწყოს ახალ გამოწვევებს.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დღესდღეობით გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური განვითარების პირობებში ერთ-ერთი სფერო, რომელიც დიდი გამოწვევის წინაშე დადგა – განათლებაა. შეიცვალა თავად განათლების მისია, მიზანი და პრიორიტეტები. შესაბამისად, გაჩნდა განათლების ტრანსფორმაციის საჭიროება. ამ მხრივ საქართველოს განათლების სამინისტრო მაქსიმუმს აკეთებს, თუმცა რიგი საკითხები, მაინც რჩება გადაუჭრელ პრობლემად.

ამდენად, წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია ამ და სხვა რიგ საკითხებზე, რომელთა ანალიზი მსმენელებს დაეხმარება უკეთ მართონ საგაკვეთილო, სალექციო პროცესი და მიზანზე ორიენტირებული შედეგები ჰქონდეთ.

აღნიშნული მასალა ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, როგორც სასკოლო, ასევე, უმაღლეს საგანმანათლებლო ცენტრებისათვის.

23. ტოპონიმ „ანდრიაწმიდას" ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის მესხურ ფოლკლორში

წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია მესხურ ფოლკლორში შემონახულ არქაულ კვალზე, რომელიც ტოპონიმ ,,ანდრიაწმიდას'' ეტიმოლოგიამ შემოგვინახა. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ პირველ საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობა იქადაგეს ქრისტეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ. აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ქრისტიანობა გაუვრცელებია ანდრია პირველწოდებულს.

ამდენად, ისტორიული და ხალხური კვლევები ცხადყოფს, რომ ტოპონიმ ,,ანდრიწმინდას" გენეზისი ადამიანის საკუთარი სახელისგან მომდინარეობს.

ამრიგად, ნაშრომში განხილული იქნება ტოპონიმ ,,ანდრიაწმიდას" გენეზისის ზოგიერთი საკითხი მესხური ხალხური სიტყვიერების მიხედვით.

24. სიტყვის, ენის ძალასა და მნიშვნელობაზე აგებული ანდაზები და იდიომები ლაზურში

ნაშრომში საუბარია ინ ანდაზებსა და იდიომებზე, რომლებიც სიტყვის ძალასა და მნიშვნელობაზეა აგებული. ირკვევა, რომ თითოეულ მათგანს პარალელი ეძებნებათ საქართველოს სხვა კუთხეებშიც და ზოგადქართული, ჩვენი ეროვნული სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია.

ნაშრომის აქტუალობის განმსაზღვრელია ის, რომ კვლევა ეხება ორად გაყოფილ სარფში ჩაწერილ მასალას(როგორც საქართველოს, ასევე, თურქეთის სარფში).

25. გერ-დედინაცვლის სიუჟეტის შემცველელი ჯადოსნური ზღაპარი ლაზურ ფოლკლორში

ნაშრომში განხილულია ის ლაზური ზღაპრები, რომელშიც ნათლად არის გამოკვეთილი გერ-დედინაცვლის ურთიერთობის ამსახველი ამბები.

ნაშრომი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც საკვლევად მასალად გამოყენებულია თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ სოფელ სარფში მცხოვრები ლაზებისაგან ჩაწერილი ზღაპრები.

26. „თურქი-მესხების" დეპორტაციის წანამძღვრები და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

ნაშრომში განხილულია ე. წ. თურქი-მესხების დეპორტაციის პირობების შესამზადებლად რუსეთის კოლონიური პოლიტიკის (როგორც იმპერიის, ისე საბჭოთა) მიერ გატარებული ის ღონისძიებანი, რომელთაც მესხეთის მოსახლეობის უმრავლესობა საქართველოსა და ქართველობის მოძულე მანქურთებად და ქართული სახელმწიფოს უბოროტეს მტრებად უნდა ექციათ.

მასში მოკლედ არის გადმოცემული აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის მდგომარეობა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, შემდეგ კი აქ შექმნილი ვითარება რუსეთის ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში დამკვიდრების დროს. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად აქ შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა - კავკასიაში ქართული ელემენტის შესუსტების მიზნით გატარებული სპეციალური ღონისძიებანი. აღნიშნულია, „მფარველად" მოსულმა რუსეთმა ისეთ დღეში ჩააგდო ქართველობა, რომ მის წინააღმდეგ არაერთი აჯანყება მოხდა. მდგომარეობა არ შეცვლილა საბჭოთა პერიოდშიც, პირიქით, იგი კიდევ უფრო დამძიმდა და სრულად დაექვემდებარა რეგიონში საბჭოთა სახელმწიფოს ვერაგულ მიზნებს, რომლის საბოლოო

შედეგი იქედან ქართველი მუსლიმანი მოსახლეობის დეპორტაცია იყო. მხილებულია ამ საქმეში სომხების როლი და ქართველებისაგან თითქმის დაცლილ ადგილების მათგან მითვისების მცდელობა.

აქვე აღნიშნულია, რომ ცნობილი რუსი ადამიანის უფლებათა და სამართალ დამცველის, ნობელის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის ძალისხმევით, რომელიც შეცდომაში შეიყვანეს, მესხები თურქებად მოინათლნენ და მათ მიმართ დამკვიდრდა ტერმინი „თურქი-მესხები". რასაც მოყვა ქართველი უფლებადამცველის, საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სათანადო პასუხი ჭეშმარიტი ისტორიისა და მათი ნამდვილი ქართული წარმოშობის ახსნით და ანდრეი სახაროვისაგან საკუთარი შეცდომის აღიარება

ამავე სტატიაში მოცემულია ანდრეი სახაროვის წიგნზე - „ქვეყნისა და მსოფლიოს შესახებ" მერაბ კოსტავას მიერ გამოთქმული საგულისხმო მოსაზრებანი სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც სრულად ეხმიანება მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობას.

27. ქართული პრობლემები ემიგრანტულ გამოცემებში - წარსული და თანამედროვეობა

სტატიაში განხილულია უცხოეთში მოღვაწე ქართველი ემიგრანტების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით წარმოებული პოლიტიკური მოღვაწეობა და მათ მიერ დაფიქსირებული პოზიციები უცხოეთში, კერძოდ კი, პარიზში გამომავალ ჟურნალის „ეროვნული გაერთიანება" 1937 წელს გამოქვეყნებულ მასალებში, რომელშიც ჩანს იმ დროს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების არა მარტო ნათელი შეგნება, არამედ მისი სამომავლო პერსპექტივის დანახვა-გააზრების მცდელობა, რის შესახებაც საუბრობენ ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები - ი. მანწკავა, არ. არჩვაძე, ნოდ. ერისთავი და სხვები. ქართული ემიგრაციის ისტორიაში საინტერესო ფაქტად მოჩანს მისი მცდელობანი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა გაერთიანებისა, რაც ასახულია 1938 წლის იანვარში გამოცემულ მიმართვაში „კავკასიის ყველა ხალხს!" იგი მიზნად ისახავდა ბრძოლას დამოუკიდებელი კონფედერაციული კავკასიის იდეის განხორციელებისათვის და შეურიგებელ წინააღმდეგობას საბჭოთა ტირანიის წინააღმდეგ.

1953 წლის 15 თებერვალს პარიზში ჩამოყალიბებულ „ქართველ ახალ თაობის დემოკრატიულ ორგანიზაციასაც" პრეტენზია ჰქონდა ეწარმოებინა აქტიური ანტისაბჭოთა პროპაგანდა და მასთან ერთად, მოეხდინა საქართველოს ისტორიისა და კულტურის პოპულარიზაცია. იგი უნდა ყოფილიყო ზეპარტიული ორგანიზაცია დევნილობაში მყოფი ქართველი ახალგაზრდებისა, რომელიც საბოლოოდ ფიქრობდა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას. მასში გაერთიანების უფლება ჰქონდა ყველა 18 წელს გადაცილებულ ქართველს, გარდა კომუნისტებისა.

აგრეთვე საინტერესო დოკუმენტია აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის 83-ე კონგრესის მეორე სხდომისადმი საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში - „კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია", რომელიც 1954 წლის 31 დეკემბერს წარედგინა წარმომადგენელთა პალატას და მის მიერ დასაბეჭდად იქნა გადაცემული. გამოიცა ვაშინგტონში 1955 წელს.

აქვე განხილულია საქართველოს დემოგრაფიული ვითარების შედარება 1922, 1926, 1939 წლებში და მითითებულია ამ მხრივ ქართველთა მდგომარეობის მნიშვნელოვან გაურესებაზე... აქვე მოცემულია რუსული ენის მოძალების უტყუარი მასალები. გაკრიტიკებულია გ. წერეთლის სტატიაში - „როგორია ჩემი განსჯა" კომუნისტებისადმი გამოთქმული იმედი, რაც მათ თანამედროვეობაში ვერ გაამართლეს; საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო სტრუქტურების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება რუსეთის მოქალაქეების დიდი რაოდენობით საქართველოში უკონტროლო შემოდინებაზე, ამასთან მის მიერ ამ მიმართულებით გატარებულ საქართველოსთვის საზარალო უნიათო პოლიტიკა.

28. აჭარა პოსტ საბჭოთა პერიოდში (1990-2023 წლები)

ნაშრომი იწყება 1989 წლის დასაწყისში საქართველოში განვითარებული მოვლენებით. მასში მოთხრობილია აქ 1989 წლის 9 აპრილს და შემდგომ განვითარებული პროცესებისა და საქართველოში არსებულ ავტონომიურ ფორმირებების გარშემო მიმდინარე მოვლენების შესახებ. მასში განხილულია როგორც 1990 წლის 30 სექტემბრის საქართველოს კონგრესის, ისე ამავე წლის 28 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგები და მათი გავლენა ჩვენს რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე. შესწავლილია აჭარაში ეროვნული მიმართულების პარტიათა საქმიანობისა და საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება მათი ხელისუფლებაში მოსვლის საწყის ეტაპზე და ასლან აბაშიძის მთავრობის დამოკიდებულება მის მიმართ. აჭარაში „აღორძინების კავშირის" შექმნის წინაპირობები საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ და გაანალიზებულია მისი ჩამოყალიბების დინამიკა, ბრძოლა საქართველოში მომხდარ პუტჩისტურ გადატრიალებასთან.

გამოკვლეულია 1992 წლის 11 ოქტომბრის „იმედისა" და მასზე მიყოლებული „უიმედობის" არჩევნების წარმმართველი იმპულსები საქართველოში და მისი შედე-გები აჭარაში და სრულიად საქართველოში. აჭარის ეროვნულ ძალთა აქტივობა და მისი საქმიანობა საქართველოში კანონიერების აღდგენისათვის გამართულ ბრძოლაში.

1994 წლის 1 მარტის სახელმწიფო გადატრიალება - „დსთ"-ში შესვლის რატიფიცირება საქართველოს ე. წ. პარლამენტის მიერ და აჭარის დეპუტაციის როლი ამ საქმეში.

შესწავლილია 1991-2002 წლებში მომხდარი ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო და სისტემურ სტრუქტურებში. საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლა და აჭარის ავტონომიაში განხორციელებული ცვლილებები - 2004წლის 6 მაისს, აჭარის ხელისუფლებიდან ა. აბაშიძის წასვლა და აქ ნაცმოძრაობის ხელისუფლების დამყარება, მის მიერ გატარებული პოლიტიკა 2012 წლამდე. 2012 წლის ოქტომბრიდან სააკაშვილის გუნდის წასვლა საქართველოს ხელისუფლებიდან და „ოცნების" მთავრობის თანამედროვე პოლიტიკა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. მისი საქმიანობა და პრიორიტეტები.

29. "სამშობლოს სიყვარული გამიჭირდა" ( იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ეპიზოდები)

იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობა მრავალმხრივაა საინტერესო და იმავდროულად შეუსწავლელია. მისი არქივი ინახავს მისსავე მემუარულ-ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებს-„ჩემო ბედი ტრაღიკული". ნაწარმოები მისივე ხელნაწერია. ამ სრულიად უცნობი მასალის საშუალებით ჩვენ ვეცნობით იბრაიმ გორაძის ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებს. მოხსენებაში საუბარია იბრაიმ გორაძის ცხოვრების შესახებ გადასახლებამდე, გადასახლებაში და ისევ სამშობლოში დაბრუნების ეპიზოდებზე. ფაქტიურად, აღნიშნული ხელნაწერი სრულყოფილად წარმოგვიდგენს მისი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის არაერთ უცნობ ბიოგრაფიულ შტრიხს.

30. ეთნიკური იდენტობის ასპექტები დევსქელის ხეობის მოსახლეობის ისტორიულ-კულტურულ მეხსიერებაში

ნაშრომი ეხება დევსქელის ხეობის ეთნიკური ქართველების დამოკიდებულებას მშობლიური ხალხის ეთნოკულტურულ ფასეულობებთან. დევსქელის ხეობა ისტორიულად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ისტორიული ვითარების გამო ხეობის სოფლები თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოექცა, რამაც, ბუნებრივია, შეცვალა მათი ეთნიკური გარემო. მიუხედავად ხანგრძლივი დროით უცხო პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ გარემოში ცხოვრებისა, აქაურმა მოსახლეობამ შეინარჩუნა ეთნიკური იდენტობის სხვადასხვა მნიშვნელოვანი მარკერი, რაზეც მეტყველებს ხეობის დღევანდელი

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფა, კულტურა, ქართული მეტყველება. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, დევსქელის ხეობის ჯერ კიდევ ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ტრადიციების, რიტუალების, დღესასწაულების, ფოლკლორის, ოჯახური და საზოგადოებრივი ურთიერთობების, ტრადიციული ღირებულებებისადმი დამოკიდებულებების შესწავლა, ხოლო, მეორე მხრივ, დევსქელის ხეობის ეთნიკური ქართველების ისტორიულ მეხსიერებაში შემონახული იმ არქაული ელემენტების კვლევა, რაც ქართველთა ეთნოგრაფიული ყოფიდან გამქრალია ან მკრთალი ნაშთის სახითაა შემონახული და, ამდენად, მნიშვნელოვანი მასალაა რიტუალების არქაული არქეტიპის აღსადგენად. შესწავლილია ის სპეციფიკური ნიშნებიც, რაც ტრადიციული ყოფის ისტორიული ტრანსფორმაციის შედეგად გაჩნდა დევსქელის ხეობის ცხოვრებაში. კვლევამ გვიჩვენა, რომ უცხო გარემოში მცხოვრები დევსქელის ხეობის მოსახლეობისთვის ეთნიკური კუთვნილების განმსაზღვრელად იქცა მშობლიური ერის ტრადიციული ღირებულებებისადმი ერთგულება, ქართული ენის, მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტების შენარჩუნება, რაც მათ თავს მშობლიური ერის ნაწილად, მისი ტრადიციული ფასეულობების მატარებლად აგრძნობინებს.

31. ეროვნული მეხსიერების დაცვა- გადარჩენის საკითხისათვის ტაო-კლარჯეთში

წარმოდგენილ კვლევაში ტაო-კლარჯეთში ეროვნული მეხსიერების რამდენიმე ასპექტსა და მისი დაცვა-გადარჩენის საკითხზეა საუბარი. კერძოდ, ეროვნული გენის კოდი - ქართული ენის მდგომარეობა რა სურათს გვიჩვენებს ისტორიულ ტაო-კლარჯელთა ცნობიერებაში, რადგან ეროვნული იდენტობის ყველაზე მძლავრი ფაქტორი, მყარი ნიშანი ენაა. ასევე, ტაო-კლარჯელთა მეხსიერებაში, მათ ეროვნულ ცნობიერებაში რამდენადაა შემორჩენილი ისტორიული წარსულის ცოდნა. აქვე განხილულია ტაო-კლარჯელთა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული რეალიებიც.

აღნიშნული საკითხის კვლევისას გათვალისწინებელია ტოპონიმური მასალის ანალიზიც. უფრო მეტიც, შეიძლება ქართული დავიწყებული ჰქონდეთ, მაგრამ მათ მეხსიერებამ შემოინახა ადგილის ისტორიული ქართული სახელები.

საკვლევი საკითხის განხილვისას, ძირითადად, ჩვენ მიერ წლების განმავლობაში ექსპედიციების დროს ჩაწერილი ემპირიული მასალით ვიხელმძღვანელეთ.

როგორც ცნობილია, ეროვნული მეხსიერება არა მხოლოდ წარსულის დაცვა-შენახვას, არამედ მომავალში მისი არსებობისა თუ გამოყენების შესაძლებლობასაც გულისხმობს. ეს კი, ტაო-კლარჯეთში მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება.

საანალიზოდ წარმოდგენილი საკითხები, ვფიქრობთ, მეტნაკლებ წარმოდგენას გვიქმნის ტაო-კლარჯეთში ეროვნული მეხსიერების ზოგიერთი ასპექტისა და მისი დაცვა-გადარჩენის საკითხის შესახებ.

32. „ენავ, რწმენავ, მიწავ წულო, ღვთის მორთმეულ-მოკითხულო"(ემენ დავითაძის ერთი პოემის ტკივილიანი ამონაკვნესი)

განსაკუთრებულია ემენ დავითაძის შემოქმედება. სათქმელი, თქმის ორიგინალურობა, ლექსიკური დიალექტიზმების სიუხვე, საოცარი სიტყვაქმნადობა გამორჩეული ნიშაა პოეტისა. თემატური მრავალფეროვნების თავმოყრის დასტურია მისი ერთ-ერთი პოემა „აჭარული გან და გან". ეს ეთნო-დიალექტოლოგიური პოემა არაერთ საჭირბოროტო საკითხს ეხება. პოემის თავების სათაურებიც კი ავტორის სატკივარსა და მიზანდასახულობაზე მიანიშნებს. სათქმელს ენის, მამულის, სარწმუნოების საკითხი აერთიანებს. სათქმელი ეროვნული სატკივარის გამომზეურება, მხილება და სიმართლის თქმაა. აჭარის კუთხის წარსულის „წვეთ-წვეთობით ჩადენილი სისხლის" გამოძახილია პოემა, თუმცა პოემის დანიშნულება არა ვიწროკუთხური, არამედ ზოგადქართული სათქმელ-სატკივარია.

ბუნებრივია, ამ კუთხის შვილისათვის კი უფრო გაასმაგებული, უფრო სისხლხორცეულია ეს სათქმელ-სადარდებელი.

მნიშვნელოვანია, რომ პოემის ერთი თავი ეძღვნება ქართულ ენას. ფაქტიურად, დამოუკიდებელი მხატვრული სახეა ეს მონაკვეთი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საგალობელი ქართული ენისა. ასეთივე მოწიწებით გვესაუბრება სულქართული, გულქართული, ღვთისმშობლის წილხვდომილი მიწის შესახებ და კიდევ ერთხელ გაგვახსენებს ტაო-კლარჯეთის სევდიან ამბავს, ამ ტკივილით „დაჩეხილ-დაკეპილი" საქართველოს სატკივარს.

საოცარი კალმისმოსმაა პოემის ეპილოგი, როგორც პოეტი უწოდებს ხილვა. ესაა იმედი, იმედი გადარჩენისა, რწმენის ძლიერებისა, ქვეყნის მთლიანობისა, ერთობისა და ქართველის გულში სიყვარულის დასადგურებისა. სწორედ ამ საკითხებზეა სტატიაში საუბარი.

33. „განძად დასარჩენი"

ნაშრომი წამძღვარებული აქვს კრებულს -„აჭარული საუნჯე", ტ.VI. საუბარია შუახევის მუნიციპალიტეტის ხალხური პროზისა და პოეზიის თავისებურების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მთქმელთა და ავტორმთქმელთა ღვაწლის შესახებაც.

34. იბრაიმ გორაძე-მწერალი და მთარგმნელი

ნაშრომი იბრაიმ გორაძის შემოქმედებითი საქმიანობის საკითხებს ეხება. ის 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა და ცხოვრების დიდი ნაწილი თურქეთში გაატარა. საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეებისათვის კარგადაა ცნობილი მისი მთარგმნელობითი საქმიანობა. ის თარგმნიდა ქართულიდან თურქულ ენაზე და პირიქით. თუმცა როგორც მწერალი, ის უცნობია. ჩვენს ხელთაა მისი არქივი. სწორედ, არქივმა შემოგვინახა მისი ხელნაწერი, ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები - „ჩემი ბედი ტრაღიკული". კვლევის მიზანი ამ სხვადასხვა კუთხით საინტერესო ნაწარმოების შესწავლაა და იმავდროულად, იბრაიმ გორაძის, როგორც საოცრად ემოციური ხელწერის ავტორის გაცნობა, შესწავლა და წარმოჩენა. შესაბამისად, კვლევა აქტუალური და სიახლის შემცველია. ნაწარმოები იბრაიმის ცხოვრება-მოღვაწეობისა და შემოქმედებითი საქმიანობის საინტერესო დეტალებს გვაცნობს. ბიოგრაფიული შტრიხების გაცნობით კი სრულყოფილი პორტრეტი იხატება ავტორისა. ამასთანავე, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, თამამად გვაცნობს იმდროინდელ ეპოქას, იმ უმძიმეს ვითარებას, რაც ქვეყანაში და მის სოფელშია. გვაცნობს ეპოქის ავბედითობის, რეპრესიების მსხვერპლი როგორ აღმოჩნდა მისი სოფელიცა და თავად ავტორიც. განსაკუთრებული გულისტკივილით გვესაუბრება გაღარიბებული ადამიანური ურთიერთობების შესახებ. დეტალურად გვიხატავს ამ პატარა სოფლის ადამიანები როგორ აღმოჩნდებიან ეპოქის სიავის ნაწილნი და შემდეგ როგორ სწირავენ მათ ერთად აღზრდილ მეზობლებს. მათი კეთილდღეობის გამო, „კარგი" მეგობრების ხელით როგორ აუბედურებენ ადამიანებს, იმ ადამიანებს, ერთად რომ გაიზარდნენ სოფელში და ერთად გაუტარებიათ ბავშვობის წლები. სწორედ ასეთთა ხვედრის შედეგია იბრაიმის „ბედი ტრაგიკული". ყოველივე ამას მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გარეშე აღწერს ავტორი და ამით უფრო მეტადაა ხაზგასმული ტკივილის სიმძაფრე. შესაბამისად, წერის სტილი სადაა, თუმცა ამ სისადავით, მარტივი თხრობით, სიღრმისეულად გვიხატავს მისი ცხოვრების ყოველდღიურობას, ეპოქის სუსხს და გვახედებს მისი სულის დამძიმებულ, აფორიაქებულ სამყაროში.

35. ადრეული გვარეულობანი დიდაჭარაში (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალების მიხედვით)

ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად გამოვლენილია დიდაჭარის ადრეული გვარეულობები, გარკვეულია გვარების ფუძეთა აგებულება, შესწავლილია მათი

განშტოებები მაწარმოებელი ფორმატების მიხედვით, რომელთა ნაწილი სოფლის ტოპონიმებთანაა დაკავშირებული. დიდაჭარაში დამოწმებული ტოპონიმების ერთი ნაწილი დიდაჭარის გვარეულობების მანიშნებელია. გარდა ამისა, დამოწმდა ზოგიერთი გვარის გაყოფა და ახალი შტო-გვარების წარმოშობა, მათი ფონეტიკური სახეცვლილება თუ სრულიად გაქრობა, რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვისაც არის დამახასიათებელი. არც ისაა გამორიცხული, რომ ღორჯომ-აჭარისწყლის ხეობის სოფელ ღორჯომის უბნების (ბახუნტარაძიები-შავთერენიენთი, ტენაურიენთი, გერგაულიენთი სახელწოდების მსგავსად, დიდაჭარის ტოპონიმების ერთი ნაწილიც წინაპარი ქალების სახელებიდან მომდინარე ყოფილიყო. გარდა ამისა, გვარეულობათა სიძველის განმსაზღვრელად უნდა მივიჩნიოთ დიდაჭარაში დამოწმებული საგვარეულო საკუთრების აღმნიშვნელი ნიშნებიც(თაჯი, „ჩარხისტარი"). დიდაჭარაში გავრცელებული ადრინდელი გვარების (პატრონიმების) ისტორიისა და სტრუქტურის არაერთი საკითხის შესწავლის საფუძველზე გარკვეულია გავრცელებული გვარების ფუძეთა აგებულება მათი მაწარმოებელი ფორმანტების მიხედვით, დასახელებული ტოპონიმების საფუძველზე განზოგადებულია მიკროტოპონიმები და გვარები, საგვარეულო ნიშნები და სხვა ფაქტორები, რასაც გარკვეული ადგილი უჭირავს აჭარის ისტორიის არაერთი პროცესის წარმოჩენაში.

36. **გიორგი ჩიტაია ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში** - და ბრძოლის შესახებ აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას მოგონებების მიხედვით შესწავლილია ავტორის პოლიტიკური შეხედულებების ფორმირების წინაპირობები, აღწერილია მისი, როგორც ქალაქ ფოთის თავის, აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში, გაანალიზებულია გ. ჩიტაიას ცნობების აქტუალობა ბათუმის განთავისუფლებასთან დაკავშირებით, ამასთან, ნაჩვენებია ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენაში ავტორის მონაწილეობის საკითხი და ა.შ.

37. **ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა მიერ საგანმანათლებლო პროცესის შეფასება (სოციოლოგიური ანალიზი)**

